ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი || «LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 3 ფრ. ] პარიზი, თებერვალი 1926. N° 8. Paris, Février 1926. [ Prix 3 Fr.

1725
1926

## ხ უ თ ი წ ე ლ ი.

ხუთი წელი ტანჯვის და მონობის, ტყვეობის და ბორკილების!

რანი ვიყავით გუშინ? ყველაფერი!

რა ვართ დღეს? არაფერი!

ერი პატივაყრილი, ხალხი დაქცეული, მოქალაქე შეკრულ-შებოჭვილი.

საქართველოს მესაფლავენი დღეს დღესასწაულობენ თავის გაბატონებას, საქართველო კი ძძებით გლოვობს თავის დამარცხებას და მათდამი დამორჩილებას. ისინი იცინიან და სტკბებიან, ჩვენები ოხრავენ და იტანჯებიან.

დღეს ორგვარი მოგონებაა: ერთია ჯოჯოხეთის და მისი მოციქულების, მეორეა თავისუფლების და მისი მოტრფიალეების.

ხუთი წლის წინ ქართველმა ერმა დაკარგა უდიდესი განძი—თავისუფლება და მიიღო უმძიმესი უღელი მოსკოველების. ერის უღირსი შვილები თავს დაეცენ მშობელ დედას უცხო ძალებით, ამოართვეს სული და გაბაწრული ცოცხალ-მკვდარი მიუტანეს მსხვერპლათ თავის მომავლინებელთ. ეს საშინელი სულთამხუთავი, რომლის თავია მოსკოვში, ხოლო ბრჭყალები კი ჩვენში, სწუწნის დაუსჯელათ ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენს ავლა-დიდებას, ჩვენს სულიერს და ნივთიერ საუნჯეს. წაიღეს რის წაღებაც კი შეეძლოთ, გააპარტახეს რაც დახვდათ, მოსპეს მთელი ახალი კულტურა, შრომით და ბრძოლით შექმნილი, და გადაგვისროლეს უკან, დაცემის და გაველურებისაკენ. ისინი დღეს ცეკვობენ ერის სასაფლაოზე.

რა სურდათ, რას ფიქრობდენ? სურდათ ჩვენი ჩაბრუნება რუსეთის სამფლობელოში, ფიქრობდენ ჩვენს გადაქცევას ძველი იმპერიალიზმის გზა და ხიდათ. საქართველო დასჭირდა მოსკოვს მეფეთა აღმოსავლეთის პოლიტიკის გასაგრძელებლათ, ოსმალეთში, სპარსეთში, შორეულ სამხრეთში სამოქმედო ბაზის შესაქმნელათ. მათ კარგათ იცოდენ, რასაც შვრებოდენ, რისთვის აგზავნიდენ თავის ჯარებს ჩვენს წინააღმდეგ. ეს იყო დიდი სახელმწიფოს შეთქმულობა პატარას ჩასაყლაპავათ. ქართველები, ამ ბოროტების მებაირაღტრენი? ამათ ქვეყანა გაყიდეს და მიიღეს სამსახური! თანამდებობაზე გადასცვალეს ერის სხვე-ბედი. განმეორდა სიტყვა-სიტყვით ძველი ამბავი, რუსის ჯარი შემოდის საქართველოში მეორეჯერ ქართველების წინამძღოლობით. ფაქტი ერთნაირია. მისი აზრი კი სხვადასხვაა. პირველი მოპატიჟება მოხდა უცხო მტრის მოსაგერებლათ. ჭავჭავაძენი ემსახურებოდენ ქართველი ხალხის ფიზიკურათ გადარჩენას. რას ემსახურებიან მახარაძენი? რომელი მტრის წინააღმდეგ ამხედრდენ ისინი? ეს მტერია ქართველი ხალხი, მის დასამორჩილებლათ და მასზე გასაბატონებლათ მათ მოიხმეს ნამდვილი მტრები. ჩვენს წინაპართ აქვთ გასამართლებელი საბუთები. ამათ, ამ ჩვენს თანამედროვეთ, არავითარი გამართლება, არავითარი საბუთი არ ადგებათ. ესენი რუსეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი მონებია.

ერი თავისუფალი, აღორძინებული, ახალი იმედებით და იდეალებით აღფრთოვანებული დაატყვევეს და რუსეთის დესპოტიას დაუმორჩილეს. რას წარმოადგენს ეს ბატონი, ქვეყანამ იცის. ის გამოფიტულია, არ შერჩა არავითარი ნივთიერი და გონებრივი ღირებულება, გარიყული, განცალკევებული, კაცობრიობიდან გამდგარი—აი ამ არარაობაზე ვართ მიკრული და მის საჯეკნათ გადაქცეული. საქართველო ყოფილა

ეროვნული

დამცირებული, მარა არასოდეს არ ყოფილა ასე დაბლა დაშვებული. ის დღეს ჩიხ-კრულშია, ამაზე ქვემოთ წასვლა აღარ შეიძლება. მხოლოდ სულის სიმტკიცე და იმედი ატანიებს მას ამ საშინელ ტრაგედიას. «ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა»—ეს ძველი სიბრძნე დღევანდელი ჩვენი მნათობია. თავს დაგვატეხეს ჭირი, ჩვენ უპასუხებთ სიმაგრით. «გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა». ქართველი ხალხის გრდემლს შეასკდა უთვალავი მტერი. ასეთი ბოლო მოელის ახლანდელ მის მტერსაც; ოღონდ კი გრდემლი მუდამ სცემდეს და ერს აღვიძებდეს. აწმყო არა გვწყალობს, მარა მომავალი ჩვენია.

ჩვენი გზა მიდის აღმართ-აღმართ, აღორძინების და თავისუფლებისაკენ. აქეთ მოდის მთელი კაცობრიობა. მათი გზა კი ეშვება დაღმართ-დაღმართ, ჭაობის და ჯურღმულისაკენ. მათ არავინ მისდევს, იმ გზით არავინ მიდის, მას ყველა, მთელი კაცობრიობა, ზიზღით შეჰყურებს. ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ მოსკოვის მიმართულება გადაშენების ხიდია, აქეთ გასავალი არ არის: ამას ქვანიც კი ღაღადებენ. ამ ღაღადმა გაარღვია თვით კრემლის კედელიც და შეიტანა ხმა სინანულის. მათი დღენი დათვლილია, ხალხის ამაღლება მათი დაცემაა; ქვეყნის აღდგომა მტარვალთა დამარხვაა. ასე ყოფილა მუდამ და ასე იქნება. გლახათ დამწყები გლახათ ათავებს. ეს უცვლელი განაჩენია.

ეს ხუთი წელი, წელი ცრემლთა გუბების და სისხლთა მორევის, არის წელი ქართველი ხალხის სულიერი განკურნების. ის ამ ციხეში ინათლება მტკიცე ნებისყოფით. იბანება თავისუფლების წყაროთი და იჭედება სასიცოცხლო ძალებით.

განვლეთ ეს ხუთი წელი, დრო მეტათ ძნელი. ჩვენი დროშა დაბლა არ დაშვებულა. დგება დრო ნაკლებათ ძნელი, შევდივართ გარდატეხის წლეებში, ჩვენი დროშა მაღლა აიწევა.

მაშ იმედი, კიდევ იმედი, მეტი იმედი!

ნ. ჟ.

---

## ეროვნული კითხვა საბჭოთა საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლება მუდამ დღე ჩასძახის ქვეყნიერებას, რომ დამორჩილებულ ერთა შორის თითქოს მან მოსპო შუღლი და მტრობა და განამტკიცა მშვიდობიანობა.

დიქტატურა მშვიდობიანობის სამოსელში! აბა ვინ დაიჯერებდა ასეთ თვალთმაქცობას.

ნათქვამია შუბი ხალთაში არ დაიმალებაო. და აი სიმართლეც თავისით ალაპარაკდა. თვით ბოლშევიკებმა კომუნისტურ სინამდვილეს ფარდა ახადეს. ყური დაუგდეთ ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარეს ალა-მალი-ოღლის: მომთაბარობა «უნდა მოისპოს—უპასუხებს ის საბჭოთა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს ამბარცუმიანს—მაგრამ არა მექანიკური გზით და არა ადმინისტრატიული ზეგავლენით, ვინაიდან ეს მეთოდი საზიანო იყო ეროვნულ · მშვიდობიანობის დამყარებისათვის» (კომუნისტი, 29 იანვარი 1926 წ.).

ცნობილია, რომ მომთაბარენი აზერბეიჯანელებია, ხოლო საძოვრები საბჭოთა ხელის-უფლებამ სომხეთს გადასცა. და აი ალა-მალი-ოღლიც ამიერკავკასიის ცაკის მეორე სესიაზე ილაშქრებს ამბარცუმიანის წინააღმდეგ, რომელიც სჩანს, საბჭოთა სომხეთში იმავე პოლიტიკას განაგრძობს, რასაც თავის დროზე თ. გალიცინი და გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი აწარმოებდენ. სწორეთ ასეთმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო სომეხ-თათართა შეიარაღებულ ხოცვა-ჟლეტის დაწყებას.

ამ უბედურების მთავარი გამომწვევი მიზეზი დღესაც ხელუხლებელი ყოფილა. საოკუპაციო ძალაუფლების ადგილობრივი აგენტები ორახელაშვილები გაჰკივიან ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარებაზე, ხოლო ამბარცუმიანების ხელით თვითვე ანთებენ კოცონს და აზერბეიჯანელ მომთაბარეებს სომეხთა წინააღმდეგ რაზმავენ.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა კომუნისტთა ეროვნულ პოლიტიკის გაკოტრება საბჭოთა საქართველოში. დაეპატრონენ თუ არა რუსების ხიშტით სახელმწიფო ძალაუფლებას საქართველოში, ბოლშევიკები პირველ რიგში მის სხეულის ხელოვნურ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრას შეუდგენ. მათ გააჩუქეს აქეთ-იქით საქართველოს ტერიტორია და განიზრახეს მისი საბოლოო განადგურება ყოველნაირი საშუალებით. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება. როგორც ბ. ლაკობა საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობას მოუთხრობს, ეს გადაწყვეტილება მიუღიათ განსაკუთრებულ თათბირზე ქ. ბათუმში, რომელზედაც აფხაზეთს წარმოადგენდენ თვით ლაკობა და ბ. ეშბა, ხოლო საქართველოს—ს. ორჯონიკიძე და შ. ელიავა. არც თვით აფხაზეთის ხალხის შეკითხვა რეფერენდუმის სახით და არც მსგავსი რამ. ოთხმა კაცმა, რომელიც რუსეთის წითელ ლაშქრის ინტერესებს იცავდა, აფხაზეთის ბედი თავის გემოზე გადასჭრა. მას შემდეგ გავიდა ხუთი წელი. ამ ხნის განმავლობაში მოხდა მრავალი გადახრა, აქეთ-იქითუგზო-უკვლოთ ხეტიალი. როცა ეს ყველაფერი უნაყოფო გამოდგა, საბჭოთა აფხაზეთის მესვეურები იძულებული შეიქნენ პირი ისევ საქართველოსაკენ იბრუნონ. კომპარტიის ყრილობაზე ამ ახალ ნახტომს ბ. ლაკობა შემდეგნაირათ ასაბუთებს: «აფხაზეთში დაყენება საკითხისა იმის შესახებ, რომ ის ნამდვილათ დამოუკიდებელია და სადღაც სურს წავიდეს საქართველოდან—იმას მოგვიტანს, რომ აფხაზეთი, როგორც ბავშვის ცელქი ხელით აგებული ხუხულა, ისე დაიშლება». *)

ამის შემდეგ მაინც მოსალოდნელი იყო აფხაზეთის ხალხთან დაახლოება და მისი ინტერესებისათვის ოდნავ მაინც ანგარიშის გაწევა. როგორც ვიცით აფხაზეთის მცხოვრებთა 90 პროც. აფხაზებისა და ქართველებისაგან შედგება. ისინი სრულიად ბუნებრივათ მოითხოვენ მართვა-გამგეობასა და სწავლა-განათლების სამშობლო ენაზე შემოღებას, ე. ი. გაგრძელებას იმ პოლიტიკისა, რასაც ემსახურებოდა დემოკრატიული წესით მთელი აფხაზეთის მიერ არჩეული სახალხო საბჭო და აფხაზეთის კომისარიატი ამხ. დ. ემუხვარის მეთაურობით. მაგრამ ეს ხომ რუს მოხელეთა და გარუსებულ აფხაზთა საქმიდან ჩამოშორებას მოითხოვს. რომ აფხაზეთში ამხანათ გაბატონებულ ჯგუფს ხალხთან საერთო სრულიად არაფერი აქვს, ამას მჭევრმეტყველურათ ბ. ლაკობა თავისი შემდეგი სიტყვით ამტკიცებს: «აფხაზეთში მოსახლე ეროვნებათა რიცხვობრივი, კულტურული და ეკონომიური შეფარდება ნებას არ გვაძლევს მარტო რუსულ ენას დავეჯეროდეთ, თუმცა იგი დიდი ოქტომბრის ენაა... მეგრელები **) და ქართველები რაოდენობით ყოველ შემთხვევაში ნაკლები არ არიან ვიდრე აფხაზები, ისინი მოითხოვენ მათთვის გასაგებ ენას და ამაზე უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. აფხაზები და აფხაზეთის ინტელიგენცია ასე მსჯელობენ.—რომ აფხაზურ ენიდან არაფერი არ გამოდნება (პირადათ მეც ასე ვფიქრობ, რადგანაც ამ ენაზე არაა არც ლიტერატურა და არც ისტორია) და ისევ რუსული ენა უნდა იყოსო. რუსული ენის საფარით სხვა დანარჩენი ენა აფხაზეთში უნდა დაიჩრდილოსო». ***)

ეს სავსებით სწორია ბ. ლაკობასა და ორიოდე მის მომხრეებზე, მაგრამ აშკარა ცილისწამებაა აფხაზებზე. მათ არ იციან არც რუსული და არც ქართული ენა. ცხადია მათი ინტერესია აფხაზურ ენაზე შექმნან მწერლობა, ისარგებლონ თავისი ენით მართვა-გამგეობასა და სკოლაში და ამ გზით შეითვისონ საკაცობრიო კულტურა. სხვა გზა არაა. ნაცვლათ ამისა გარუსებული ათიოდე ბოლშევიკი აფხაზი-ინტელიგენტი აფხაზეთის ერს ხელში რუსულ ენას აჩრის და ამის მომიზეზებით ყველა დანარჩენ ერსაც გარუსებით ემუქრება. ბოლშევიკური პარტია აფხაზეთში ვოსტორგოვების პოლიტიკას ატარებს.

გადავიდეთ სხვა კუთხეებზე. აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვან ამბების მოწამე ვხდებით. კომუნისტურ გაზეთების სიტყვით, სამეგრელოს ბოლშევიკებმა განიზრახეს საქართველოდან ჩამოშორება და შესაფერი დეპეშით მოსკოვს მიმართეს. კომუნისტურ ფრაზეოლოგიის ქვეშ ვოსტორგოვები სწრაფათ მრავლდებიან! საქართველოს კომპარტიის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის ანდრო დოლიძის სიტყვით «ამ ტელეგრამებში ისინი (სამეგრელოს ბოლშევიკები) სწერდენ დაგვიხსენით საქართველოსგან, ჩვენ ვდრტვინავთ მათ გამგებლობის ქვეშო» ****). იგივე განმეორდა აჭარაში. თაქსინ ხიმშიაშვილის მეთაურობით სამუსლიმანო საქართველომ განიზრახა გამოყოფა

*) ქართული კომუნისტი, 4 დეკ. 1925 წ.

**) მეფის მოხელეთა მსგავსათ ბ. ლაკობა მეგრელებს ქართველობიდან ერეკება. ბოლშევიზმი მეფეთა პოლიტიკას ეროვნულ სფეროშიც მტკიცეთ ადგია. ნ. რ.

***) იქვე.

****) ქართული კომუნისტი, 4 დეკ. 1925 წ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საბჭოთა კავშირში პირდაპირ შესვლა. როგორ მოხდა ეს? რით აიხსნება ეს პირველი შეხედვით სრულიად გაუგებარი რუსოფილური ტენდენციები სამუსლიმანო საქართველოს დღევანდელ მესვეურების?

ამის ახსნას გაკვრით საქართველოს კომუნისტთა მეოთხე ყრილობაზე ცენტრალურ კომიტეტის სახელით მ. კახიანი იძლევა.

«რუსული გახრა—მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთ რუს კომუნისტებმა ვერ გაითვალისწინეს ნაციონალურ ურთიერთობათა მთელი სირთულე და დააწყეს «ნეიტრალიტეტის» მაღალი პოლიტიკის გათამაშება... ასეთი კომუნისტი ხანდისხან აჭარელთა უკანონო მოთხოვნილებებსაც უჭერს მხარს იმ მოსაზრებით, რომ თუ აჭარელი ცოტათი წინააღმდეგია საქართველოსი და მთლიანათ მხარს უჭერს «რუსეთს», ეს დიდი უბედურება არ არისო». *) აშკარაა, თაქსინ ხიმშიაშვილები ამოქმედდენ რუს კომუნისტთა შთაგონებით და მათი დასტურით საქართველოს საბოლოო დაქუცმაცებას შეუდგენ. მეფის მოხელენი აჭარელთ თურქებათ ნათლავდენ. წითელ მოსკოვის აგენტები იმავე პოლიტიკას უფრო მოხერხებულათ აწარმოებენ და საქართველოს დასუსტების საქმეში მეტ უნარს იჩენენ.

სხვებს არც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამორჩა. ძლიერ ცდილობენ ბოლშევიკები მიაფუჩეჩონ ის დევნა-შევიწროება, რასაც აქ ქართველობა განიცდის, მაგრამ სიმართლის დამალვას მაინც ვერ ახერხებენ. აი რას ამბობს მაგ. იგივე კახიანი: «ოსების და არა ოს—მოსახლეს ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა უსწორმასწორობას საბჭოთა მმართველობის საქმეში (მაგ. ცხინვალის რაიონში, სადაც ნახევარზე მეტი ქართული მოსახლეობაა)». **) უმრავლესობას უმცირესობას უმორჩილებენ. ასეთია ბოლშევიკურ დიქტატურის ლოღიკა. საბჭოთა საქართველოში ქართველთა დასასუსტებლათ ყოველი ზომა მისაღებია!

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას სომხობას აქცევდა, მაგრამ მან ვერც ის მიიმხრო. პირიქით, ჯავახეთში ადგილი ჰქონდა სერიოზულ გამოსვლას. კომუნისტური პრესა მოგვითხრობს, რომ დაშნაკელებმა სცადეს ავტონომიის გამოცხადება. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ან. დოლიძე მას შემდეგნაირათ ასურათებს: «გადავალ—ამბობს ის—ახალქალაქის მაზრაზე. იქაც დიდი დაავადება იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ დაავადებით ვერ ჩავთვლით იმას, რომ ამ მაზრაში ადგილი ჰქონდა დაშნაკელების გავლენას... აქ მიტინგებზე გამოდიოდენ და გვეუბნებოდენ: ავტონომია გვინდაო. კარგათ ვიცით, ვისგანაც გამოდიოდა ეს მოთხოვნილება... ახალქალაქის მაზრაში ადგილი ჰქონდა ისეთ მოქმედებებს, რომელიც რყვნიდა და შლიდა ჩვენს ორგანიზაციას. ჩვენ მთლიანათ დავშალეთ და გავრეკეთ იქაური პარტიული ორგანიზაცია». ***)

ჯავახეთის კომპარტიული ორგანიზაცია დაშნაკური გამოდგა და ის დაშალეს—ასე ახასიათებენ მას თვით ხელმძღვანელი ბოლშევიკები. ჯერ იყო და საქართველოს დამოუკიდებლობის დასასამარებლათ პარტიის კარები გაუღეს ყველა უცხო შავრაზმელსა და ნაციონალისტს. დღეს აწრიპინდენ, როცა მათი პოლიტიკა გაკოტრდა და ეს გაწითლებული ნაციონალისტები თვით საქართველოს ბოლშევიკთა წინააღმდეგ ამხედრდენ.

კომუნისტებმა ბორჩალოსა და ახალციხის თათრებიც გადაიკიდეს. ამ მაზრებიდან, ამბობს მ. კახიანი, «მოდიოდა თურქებით დასახლებულ სოფლების საჩივრები. ეს საკითხი შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც გამოააშკარავა ჩვენი მუშაობის მრავალი არსებითი ნაკლი, რაც უკმაყოფილებას იწვევდა გლეხობაში. ეს ნაკლი გამოიხატებოდა იმაში, რომ ადგილობრივი მომუშავენი სწორად ვერ უდგებოდენ გლეხობის მოთხოვნილებებს და საჭიროებებს და საკმაო ანგარიშს ვერ უწევდენ თურქ მოსახლეობის ეროვნულ თავისებურებას». ****)

როგორც ხედავთ, ყველა განაპირა კუთხე არეულია, ცენტრით უკმაყოფილოა და მას ბრძოლას უცხადებს. ხშირათ ეს ბრძოლა აშკარა ხასიათს ღებულობს, როგორც ეს მოხდა აჭარასა და ჯავახეთში, ხოლო უფრო ხშირათ ის ფარულათ წარმოებს და

---

*) ქართული კომუნისტი, 2 დეკ. 1925 წ.

**) იქვე.

***) ქართული კომუნისტი, 4 დეკ. 1925 წ.

****) ქართული კომუნისტი, 2 დეკ. 1925 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო საზოგადოების ყურამდის ვერ აწწევს. ასეთია ბოლშევიკთა ეროვნული პოლიტიკის შედეგი ხუთი წლის განმავლობაში. ნაცვლათ მშვიდობიანობის დამყარებისა საყოველთაო არევდარევა, «რკინისებურ დისციპლინის» მაგიერ დაუსრულებელი შფოთი და ცენტრიდან უკუქცევა.

სხვანაირათ არც შეიძლება. ბოლშევიზმი ეყრდნობა რუსულ ხიშტს და ამიტომაც არის «დიდი ოქტომბრის ენას» ის ზურგს ვერ შეაქცევს და გაეროვნებას ვერ გაატარებს. და აი აფხაზეთიდან განდევნეს ის კომუნისტები, რომელნიც ლაკობას გამარუსებელ პოლიტიკას ებრძოდენ.

ბოლშევიზმი უარყოფს ხალხის ნება-სურვილებს და მოსკოვის დიქტატორთა ბრძანებებს ასრულებს. საბჭოთა საქართველოს ძალაუფლება—ეს ხომ მოსკოვის ადგილობრივი სატრაპებია და სულს უხუთავენ მათ დაბლა მდგომ პაწია სატრაპებს. ამიტომაც არის თაქსინ ხიმშიაშვილები და ძმანი მათნი სამეგრელოსა, ჯავახეთსა და სხვა განაპირა კუთხეებში «დრტვინავენ» თფილისის სატრაპთა უღელს ქვეშ და მათგან ჩამოშორებას ეტრფიან.

ახლა თვალი გადავავლოთ თვით შიდა საქართველოს. რა მდგომარეობა შექმნა აქ საოკუპაციო ხელისუფლებამ? დაცულია თუ არა ქართველთა თუნდაც ელემენტარული ეროვნული უფლებები?

ავალაპარაკოთ თვით ბოლშევიკები. აი რას მოგვითხრობს გაეროვნების შესახებ «ახალგზელი»-ს მე-8 ნომერში ვინმე შინი: «ჩვენ ისე გადავდგით ფეხი 1926 წელში, რომ სრული გაეროვნება ჯერ-ჯერობით კიდევ არ არის მიღწეული. საქართველოს ყველა დაწესებულებებში არაა შექმნილი ისეთი პირობები, რომ ახალ თანამშრომლის მიღებისა, თუ ძველი კადრის შეფასების დროს, გამოდიოდენ იმის გათვალისწინებიდან, თუ რას წარმოადგენს სამსახურში მისაღები ან უკვე მომუშავე პირი ქართული ენის ცოდნის მხრივ. ავიღოთ უაღრესათ მუშური დაწესებულება, რომელიც თავის დანიშნულებით მოწოდებულია ჩააბას აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში მშრომელთა რაც შეიძლება ფართო მასები—ჩვენ ვლაპარაკობთ პროფკავშირებზე—და ვნახოთ როგორია აქ მდგომარეობა ამ მხრივ. ჩვენ ვიცით დადგენილება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი გაეროვნების მტრების შესახებ. ჩვენ ისიც კარგათ უწყით, რომ ამ დადგენილების შემდეგ პროფკავშირებმა ქართულ ენაზე იწყეს მიწერმოწერა ადგილებთან. მაგრამ ჩვენ იმის მოწამეც არა ერთხელ ვყოფილვართ, რომ ზოგიერთ პროფკავშირის მიერ მოწვეულ კონფერენციებზე რუსულის არამცოდნე ამხანაგები ღრმა ძილს მისცემდენ ხოლმე თავს, ვინაიდან მათ არ ესმოდათ, თუ რას ლაპარაკობდენ მომხსენებელნი და მოკამათენი».

განა ეს ხდება მხოლოდ პროფესიონალურ კავშირთა კრებებზე? განა ამასვე არ ვხედავთ კომპარტიისა და საბჭოთა ყრილობებზე და საერთოთ საბჭოთა დაწესებულებებში?

ბ. შინი ამაოთ იხსენიებს უკრაინის მაგალითს. მას დავიწყნია, რომ უკრაინაში, ავათ თუ კარგათ ეს სხვა საქმეა, გაბატონებული არიან თვით უკრაინული ელემენტები, ხოლო საქართველოში ბატონობენ უცხოეთიდან შემოხიზნული წრეები და თვით საქართველოს საბჭოთა წყობილება ამ უცხო ელემენტების აღმასრულებელი კომიტეტია. ამით აიხსნება, რომ ქართველობა მოკლებულია ისეთ ელემენტარულ უფლებებსაც კი, როგორიც არის დაწესებულებათა გაეროვნება. ეს სამხედრო ოკუპაციის თანდაყოლილი სენია. მისი თავიდან აცილება რუსეთის უღლისაგან განთავისუფლებას მოჰყვება.

არა ხიშტით დატუქსვა და დიქტატურა, არამედ ერთა დამოუკიდებლობა, მათი დემოკრატიულათ მოწყობა და მეზობლებთან თავისუფალი შეთანხმება—აი ერთადერთი გზა იმ სისხლიან ჩიხიდან გამოსასვლელათ, რომელშიაც საოკუპაციო ძალაუფლებამ საქართველო მოაქცია. ეს დღე ახლოვდება, დღე უცხო მონობის დამსხვრევის და ერთა შორის სოლიდარობის დამყარებისა.

ნ. რამიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხ უ თ ი წ ლ ი ს შ ე მ დ ე გ.

ოკუპაციის ხუთი წლის თავზე ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობაზე შევაჩეროთ; ხოლო ამასთანავე, რამდენათ ეს შესაძლებელი იქნება საგაზეთო წერილში, გვინდა თვალი გადავავლოთ იმ სახელმწიფოთა ეკონომიურ ვითარებასაც, რომელნიც საქართველოსთან ერთათ გამოეყვენ რუსეთს, მასავით მრავალი გაჭირვება გადაიტანეს 1918—20 წლებში, მაგრამ შემდეგაც დამოუკიდებელნი დარჩენ და დემოკრატიული რეჟიმი შეინარჩუნეს: პ ო ლ ო ნ ე თ ი, ლ ა ტ ვ ი ა, ე ს ტ ო ნ ე თ ი, ლ ი ტ ვ ა.

იმათაც, როგორც საქართველომ 1918 წელში, ან რამდენიმე თვით ადრე თუ გვიან, გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკები შექმნეს; როგორც საქართველო, ისინიც ახლად გამოსული იყვენ საერთაშორისო ომიდან, დაქანცულნი და დაღარიბებულნი; როგორც საქართველო, ისინიც აღორძინების პირველ ხანებში მუდმივათ შეწუხებულნი იყვენ და ომებიც კი ჰქონდათ გარეშე მტრებთან (გერმანია და რუსეთი); ისინიც, როგორც საქართველო, მაშინ მოწყვეტილნი იყვენ საერთაშორისო ბაზრებს (თუმცა იმდენათ არა, როგორც ჩვენ), განიცდიდენ ფინანსიურ გასაჭირს და კრიზისს საზოგადოთ სახალხო მეურნეობაში... მხოლოდ 1921 წლიდან დაიწყო ამ ქვეყნების აღმშენებლობითი მუშაობა ინტენსიურათ, მაგრამ ამავე დროს საქართველოს დამოუკიდებლობას მოსკოვმა ლახვარი ჩასცა, და ამ დროიდან ჩვენი და მათი გზები სხვადასხვა მიმართულებით წივიდა: საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა და ერის თავისუფალ შემოქმედებას საზღვარი დაედო; იქ კი დამოუკიდებლობა გამაგრდა და ეროვნულ თვითმოქმედებას გზა გაეშალა.

რა შედეგებს მიაღწიეს იქ და რას ვხედავთ დღეს საქართველოში?

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ყველა დასახელებული რესპუბლიკები, როგორც საქართველო, უმთავრესათ სოფლის მეურნეობის ქვეყნებია; მართალია, იმათგან ზოგიერთში (პოლონეთი, ლატვია) ქალაქის მრეწველობა უფრო განვითარებული, ვინემ საქართველოში, მაგრამ საზოგადოთ ამ რესპუბლიკების სახალხო ეკონომიკაში უმთავრეს როლს მაინც სოფლის მეურნეობა და ნედლი მასალის დამზადება თამაშობს. ამიტომ როგორც ამ ქვეყნებში, ისე ჩვენშიც, უმთავრესი ზრუნვის საგანი სოფლის მეურნეობა უნდა ყოფილიყო. საბჭოთა ხელისუფლებაც, როგორც მისი წარმომადგენლების განცხადებიდან სჩანს, უდიდეს ყურადღებას ჩვენში თითქოს სოფლის მეურნეობას აქცევს. 1918—20 წლებში სოფლის მეურნეობის მდგომარეობა დასახელებულ რესპუბლიკებში დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც საქართველოში; ხოლო ამ ხუთი წლის განმავლობაში, როგორც ქვევით დავინახავთ, იმათ უკვე მიაღწიეს ომის წინა დროის შედეგებს და ზოგ დარგში გადააჭარბეს კიდეც.

როგორ შედეგებს მიაღწია სოფლის მეურნეობაში საოკუპაციო ხელის-უფლებამ ჩვენში?

საბჭოთა ცნობებით საქართველოს სოფლის მეურნეობა შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნ ა თ ე ს ე ბ ი ს ს ი ვ რ ც ე | 1913 წ.— | 727.936 დეს., | | 1924—25 წ.— | | 659.500 დეს. | ანუ | 90 პრ. | |
| ვ ე ნ ა ხ ი | « | 54.196 | « | 1925 | « | 25.499 | « « | 46 | « |
| თ ა მ ბ ა ქ ო | « | 9.652 | « | « | | 4.353 | « « | 45 | « |
| ბ ა მ ბ ა | « | 7.500 | « | « | | 4.832 | « « | 64 | « |
| ს ა ქ ო ნ ე ლ ი: | | | | | | | | | |
| ცხენი | « | 126.500 | | 1924 წ. | | 78.438 | « | 61 | « |
| მსხვილფეხი | « | 1.273.800 | | « | | 1.152.647 | « | 90 | « |
| დანარჩენი წვრილფეხი | « | 2.144.200 | | « | | 1.558.608 | « | 72 | « |

(იხილე «კომუნისტი» 1925 №№ 257 და 282 და «ეკონომისტი» № 1).

ამნაირათ, ჩვენში დღეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგი 1913 წ. შედარებით ძალიან ჩამორჩენილია, ხოლო ისეთი თვალსაჩინო დარგები ჩვენი მეურნეობის როგორიცაა მევენახეობა და მეთამბაქოება ნორმალურ დროის ნახევარსაც აღარ წარმოადგენენ. ნათესების სივრცე უახლოვდება 10 პროცენტით 1913 წლის სივრცეს, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წელთან შედარებით (570.249 დეს.) იგი მხოლოდ 12 პროც. გაზრდილა. საჭიროა აღინიშნოს, რომ მეაბრეშუმეობას უმატნია ომის წინა დროსთან შედარებით 47 პროც., ხოლო მატყლის მოსავალს—50 პროცენტზე მეტით დაუკლია (იხ. «ეკონომისტი» № 1).

გადავხედოთ დასახელებულ ახალგაზდა რესპუბლიკებს.

ლატვიაში ნათესების სივრცე 1913 წ. უდრიდა 1.058 ათას ჰექტ., 1920 წ.—მხოლოდ 793 ათასს (73 პროც.) და 1925 წ. უკვე 978 ათასს (91 პროც.).

ლიტვაში: 1913 წ. დათესილი იყო 1.365 ათასი ჰეგტ., 1920—1.300 ათასი (95 პრ.), ხოლო 1925 წ.—1.436 ათასი (110 პროც.).

პოლონეთში: ნათესების სივრცე 1913 წ. იყო 12.535 ათასი ჰექტ., 1920 წ.—7.817 ათასი (62 პროც.), ხოლო 1925 წ.—12.260 ათასი (99 პროც.) *)

ამნაირათ, ჩვენს წინ იშლება შემდეგი სურათი ნათესების ზრდისა 1920 წლის შემდეგ (პროცენტებით 1913 წ. შედარებით):

| | 1920 წ. | 1925 წ. | ზრდა (1920 წ. შემდეგ). |
|---|---|---|---|
| საქართველო | 78 | 90 | 12 |
| ლატვია | 73 | 91 | 18 |
| ლიტვა | 95 | 110 | 15 |
| პოლონეთი | 62 | 99 | 37. |

ჩრდილოეთის რესპუბლიკებში არ არსებობს კულტურა ვენახის, თამბაქოსი და ბამბის; სამაგიეროთ აქაურ მეურნეობაში დიდ როლს თამაშობს ქართოფილი და სელი (lin).

ლატვიაში ქართოფილს ეჭირა: 1913 წ.—79.565 ჰექტ., 1920 წ.—მხოლოდ 53.134 ჰეკტ. (67 პროპ.), 1925 წ. კი—78.100 ჰეგტ. (99 პროც.); სელის რაოდენობამ კი 1913 წლისას გადააჭარბა, თუმცა 1920 წ. მისი სივრცე 50 პროც. შეადგენდა: 1913 წ.—69.620 ჰეგტ., 1920 წ.—35.032 ჰეგტ. (50 პროც.), 1925 წ.—78.100 ჰეგტ. (113 პროც.).

ესტონიაში ომის წინ (1908 წ.) სელს ეჭირა 35.625 ჰეგტ., 1920 წ.—18.537 ჰეგტ. (51 პროც.), ხოლო 1925 წ.—45.400 ჰეგტ. (127 პროც.).

პოლონეთში 1920 წ. ქართოფილი იყო 1.643 ათასი ჰეგტ., 1925 წ.—2.376 ათასი (143 პროც.).

ამნაირათ, საქართველოში, სადაც საბჭოთა ხელის-უფლება თითქოს უმთავრეს ყურადღებას ნათესების სივრცის გადიდებას აქცევდა, ნათესების სივრცე ამ ხუთი წლის განმავლობაში ყველა დასახელებულ რესპუბლიკებზე ნაკლებათ გაზრდილა (პროცენტულათ), თუმცა 1920 წ. საქართველოში (პროცენტულათ) ნათესი მეტი ყოფილა (78 პროც.), ვინემ დასახელებულ რესპუბლიკებში, გარდა ლიტვისა. რაც შეეხება შემოსავლიან კულტურას, იგი საქართველოში ვერც ერთ დარგში (გარდა მეაბრეშუმეობისა) ვერ აღწევს ომის წინა დროს, ხოლო დასახლებულ რესპუბლიკებში 100 პრ. გადაუჭარბებია.

რა პრესპექტივებს ვხედავთ ჩვენში ახლო მომავლისათვის და სად არის მიზეზი სოფლის მეურნეობის ასეთი ჩამორჩენის?

საბჭოთა ხელის-უფლებამ დემოკრატიულ რესპუბლიკის მიწის კანონი გააუქმა, ხოლო სამაგიეროთ ამ ხუთი წლის განმავლობაში მან ვერ დაამყარა ისეთი ურთიერთობა მიწათმფლობელობაში, რაც ოდნავათ მაინც უზრუნველყოფდეს სოფლის მეურნეს ყოველგვარ მოულოდნელობისგან. ახლა თვით ბოლშევიკები აღიარებენ ამ უბედურებას. ჟურნალ «ეკონომისტი»-ს № 1-ში ვინმე ვ. გოგილაძე მოგვითხრობს, რომ სოფლის მოსახლეობის თვალში მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის კანონიერ აქტებით გადაცემას და რომ «ამ ფორმალობის გარეშე ჩვენი გლეხი მიწათმოწყობის საქმეს სავსებით უგულოთ ექცევა, რის შედეგათაც მიწის იმ ნაკვეთებზე, რომელიც მას მიღებული აქვს ამ ფორმალობის აქტების გარეშე, არც კაპიტალს და არც ენერგიას არ ხარჯავს, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ ეს ნაკვეთი მას არ ჩამოერთმევა. მეტათ ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ გლეხი დაკვრითი წესით, მიწათმოწყობის გარეშე, მიღებულ ნაკვეთებში ანადგურებს ვაზს და ხეხილს, არღვევს ღობეს და სხვ.» (გვ. 67). მაგრამ კომპარტიამ თავის უკანასკნელ ყრილობაზე დაგმო მიწის გლეხებისათვის სა-

*) ყველა ცნობები ამ რესპუბლიკების შესახებ ამოღებული გვაქვს უმთავრესათ მათი ოფიციალური სტატისტიკიდან და რომის საერთაშორისო ინსტიტუტის სტატისტიკურ ბიულეტენებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებათ მიცემა და ამგვარათ მეურნეობის აღორძინება პირდაპირ შეკავშირებულია არსებული რეჟიმის დანგრევასთან.

*მრეწველობა.* საქართველოს მრეწველობაში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი მარგანეცის წარმოებას ეჭირა. ომის დროს მარგანეცის წარმოება შეწყდა, რადგან სრუტეები დაიკეტა და მარგანეცის გაზიდვა შეჩერდა. მხოლოდ 1920 წ. დაიწყო ექსპორტი და პირველსავე თერთმეტი თვის განმავლობაში 10 მილ. ფუთზე მეტი გაიყიდა. ამნაირათ სრული იმედი იყო, რომ ჩვენებური მარგანეცი სულ მალე დაიბრუნებდა მსოფლიო ბაზარზე დაკარგულ მდგომარეობას. ჩვენ კი რა დავინახეთ? ოკუპაციის პირველ წლებში წარმოება ჭიათურაში სრულებით შეწყდა და თუმცა მოთხოვნილება იზრდებოდა, საბჭოთა ხელისუფლება წინათ დამზადებულ ქვის გამოტანას ჯერდებოდა. 1925 წ. კი მთელი ჭიათურის წარმოება უცხოელ კაპიტალისტებს გადაეცა ყოვლად საზარალო პირობებში, (იხ. ამის შესახებ ჩვენი წერილი «ბრძოლა»-ს № 4) და ამიერიდან ამ დარგში მხოლოდ უცხოელების საქმიანობაზე თუ შეიძლება ლაპარაკი. საბჭოთა ხელისუფლების ენერგია ამ საქმეში 1924 წ. ამოიწურა 26 მილიონ ფუთის დამზადებით, ე. ი. ომის წინა დროის 44 პროც. (1913 წ.—59 მილიონი ფუთი).

დამოუკიდებლობამდის *ქვანახშირის* წარმოებას ჩვენში მაინცა და მაინც დიდი ყურადღება არ ქონდა მიქცეული; 1919—20 წლებში გამოცოცხლდა მუშაობა ტყვიბულში და წარმოება 1920 წ.—5.500 ათას ფუთს უდრიდა. ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო ამოძრავებულ წარმოების გაგრძელება და გაფართოება; სამწუხაროთ, ეს წარმოება 1924 წ. მხოლოდ 4.500 ათას ფუთს იძლევა, ე. ი. 20 პროც. ნაკლებს («კომუნისტი» № 282—1925 წ.).

ჩვენს ღარიბ მრეწველობაში *თამბაქოს გადამუშავება* (ფაბრიკაცია) თვალსაჩინო როლს თამაშობდა. 1916 წელს დამზადებული იყო ჩვენში: პაპიროსი—2.086 მილ. ცალი და დაჭრილი თამბაქო—3. 723 ათასი გირვ.; 1923—24 წ. კი დამზადებული ყოფილა: პაპიროსი—557 მილ. ცალი და დაჭრილი თამბაქო—265 ათასი გირვ. («კომუნისტი» № 46, 1925). ამნაირათ წარმოება შემცირებულია: პაპიროსის 73 პროც. და დაჭრილ თამბაქოსი—92 პროცენტით.

მოვიხსენიოთ კიდევ ერთი დარგი ჩვენებურ წარმოების—*სპირტის წარმოება.* 1913 წ. საქართველოში დამზადებულ სპირტის რაოდენობა 11.630 ათას გრადუსს აღემატებოდა; 1925 წ. საქართველოში (წინასწარი ცნობების მიხედვით—«კომუნისტი» —№ 77, 1925 წ.) მოსალოდნელი იყო არა უმეტეს 3 მილ. გრ. შემცირება წარმოების 70 პროც. აღემატება.

ასეთია სურათი ჩვენში არსებულ ცოტათ თუ ბევრათ თვალსაჩინო წარმოებათა დარგის და ამის მიხედვით განისაზღვრება წარმოებაში ჩაბმული *მუშათა რაოდენობაც.* 1925 წელს წარმოებაში ითვლებოდა 8.626 კაცი («ზარია ვოსტოკა» № 1047); 1915 წ. კი—15.553; შემცირება 44 პროც. უდრის. ძალიან ნაკლებია მუშათა რიცხვი 1919—20 წ. შედარებითაც, როცა მხოლოდ თფილისის წარმოებებში ათი ათას მუშაზე მეტი ითვლებოდა. მუშის ახლანდელი ხელფასი ბოლშევიკების ოფიციალურ ცნობებით ნომინალურათ ომის წინა დროის 95 პროც. უდრის; მაგრამ თუ სახეში მივიღებთ ჩერვონეცის მყიდველობითი ძალას (4,39—4,57; იხ. «ეკონომისტი» № 1) და ცხოვრების გაძვირებას, რეალურათ დღევანდელი ხელფასი 1913 წლ. ნახევარსაც არ უდრის. უმუშევრობა გაძლიერდა და ამ საკითხის მოწესრიგებას ქართველების (განსაკუთრებით ინტელიგენციის) რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლებით აპირებენ. 1 ივლისს 1925 წ. მხოლოდ შვიდ ქალაქში (თფილისი, ბათომი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, ჭიათურა და სამტრედია) ოფიციალურ ცნობით 14.159 უმუშევარი ითვლებოდა და ამ უმუშევართა რიცხვს მომატების ტენდენცია ეტყობოდა. 1923 წ. აღწერის მიხედვით საქართველოს 15 მაზრაში 150 ათასი მოსახლე უმიწობის გამო უმუშევრობის «გამოულეველ წყაროს» წარმოადგენდა. (იხ. ს. დევდარიანი «უმუშევრობის საკითხი და სოფლის მეურნეობა»—«ეკონომისტი» № 2).

ამნაირათ, ჩვენში ამ ხუთი წლის განმავლობაში საკვირველი ამბავი მოხდა: უმუშევართა რიცხვი 40 პროცენტით სჭარბობს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვს და პერსპექტივებიც ისეთია, რომ უმუშევრობა კიდევ იმატებს.

ჩვენთვის საინტერესო რესპუბლიკებში (განსაკუთრებით პოლონეთში და ლატვიაში), მართალია, ომის წინაც, როგორც ვსთქვით, მრეწველობა უფრო ძლიერი იყო, ვინემ ჩვენში, მაგრამ ომმა აქ ყველაფერი გაანადგურა. ჯერ რუსებმა ევაკუაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთში 1920 წ. ითვლებოდა 4000 კოოპ. 1.300 წევრით; ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში იგი ერთი-სამათ გაიზარდა.

ფინანსები. საქართველოს დღევანდელი ფინანსების გარკვევა არც ისე ადვილია. მას შემდეგ, რაც იგი რუსეთის კავშირში და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შეიყვანეს, მისი ფინანსები გადაიხლართა ჯერ ამიერ-კავკასიის და შემდეგ მთელი საბჭოთა კავშირის ფინანსებთან. ვიცით, რომ საქართველოს შემოსავლიდან დამოუკიდებლათ საქართველოს საბიუჯეტო განკარგულებაში 1924—25 წ. გადიდებული იყო 2.861 ათასი მან. (არა უმეტეს შემოსავლის 15—20 პროც.); გასავალი კი 8.347 ათასი მანეთი იყო და განსხვავება ეგრეთ წოდებულ დოტაციებით იფარებოდა («კომუნისტი» № 277, 925 წ.). ამნაირათ, საბიუჯეტო ხარჯები მოდიოდა სულზე დაახლოებით 3 მან. და 34 კაპ. ანუ სტერლინგებზე გადატანით 7 შილინგი. დამოუკიდებელ საქართველოს ბიუჯეტით 1919—20 წ. სულ დაიხარჯა 3.252 მილ. მან., რაც, ნაანგარიშევი საშუალო კურსით, შეადგენდა სულზე 27 შილინგს. (1 გირ. სტ. და 7 შილინგი).

დასახელებულ რესპუბლიკათა ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტით 1925 წ. სულზე დაახლოებით გამოიხატებოდა:

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვიაში | — | 80 ლატ. | ანუ | 3 | გირ. | 4 | შილ. |
| პოლონეთში | — | 76 ზლ. | « | 3 | « | 0 | « |
| ლიტვაში | — | 110 ლიტ. | « | 2 | « | 5 | « |
| ესტონიაში (1922 წ.) | | 3675 ე. მ. | « | 2 | « | 2 | « |
| საქარ. ბიუჯეტით (1924-25) | | 3 მ. 34 კ. | « | 0 | « | 7 | « |

ასეთია მოკლეთ სურათი, ერთი მხრით, საქართველოს და მეორე მხრით, იმ რესპუბლიკათა ეკონომიური მდგომარეობის, რომელთაც საქართველოსთან ერთად 1918 წ. გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. ჩვენ მკითხველის ყურადღება განზრახ შევაჩერეთ, სხვათა შორის, პოლონეთზე, რომელიც პატარა რესპუბლიკების რიცხვში ვერ ჩაითვლება; მაგრამ საბჭოთა პრესას ძალიან ათვალწუნებული აქვს პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობა და ხშირათ მას ეკონომიურ კატასტროფას უქადის. რამდენათ გაუსწრო ამ «ათვალწუნებულმა სახელმწიფომ» საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ვითარებასაც! სრულებით არ შევეხებივართ ფინლიანდიას, რომელიც რუსეთის ძველი რეჟიმის პირობებშიც ავტონომიით სარგებლობდა და ნიადაგი დამოუკიდებლობისთვის იქ უფრო მომზადებული იყო.

ჩვენ დავინახეთ, რომ ამ ხუთი წლის წინათ დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა ბევრით არ განირჩეოდა აღნიშნულ რესპუბლიკების მდგომარეობიდან; ხოლო ოკუპაციის ხუთი წლის განმავლობაში საქართველო ძალიან ჩამორჩა იმათ. უბრალო ინსტინქტი ფიზიკურ არსებობისთვის ბრძოლის აიძულებს ადამიანს წლიდან წლამდის მეტი იმუშაოს, მეტი დახნას და დასთესოს; ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობაც, რა თქმა უნდა, ერთ წერტილზე ვერ გაიყინებოდა. მაგრამ იქ, სადაც სახელმწიფოს ხელი უნდა მოსჩანდეს, სადაც სახელმწიფოს შემოქმედებით უნარს უნდა ვხედავდეთ, ყოველგან—როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში—სრულიად უნუგეშო მდგომარეობაა; ასეთია, მაღალი კულტურის (კერძოთ მევენახეობის), მესაქონლეობის, მიწათმფლობელობის და სხვ. საკითხების მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში; ნედლი მასალის წარმოების, ქარხნების და მუშათა რიცხვის, უმუშევრობის და სხვ. საკითხების—მრეწველობაში. შეიძლება რჩეულნი, საზოგადოების უუმცირესი ნაწილი დღეს ნივთიერათ უკეთესათ სცხოვრობდეს, ვინემ ამ ხუთი წლის წინათ; დიდი უმრავლესობა, ქართველი ხალხი კი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის და თანდათან ღატაკდება, თუმცა გარეშე ბაზრებთან დამოკიდებულების პირობები მრავალჯერ გაუმჯობესებულია.

და რამდენათ საქართველოს ასეთი მდგომარეობა სამწუხარო და სავალალოა ჩვენთვის, იმდენათ სასიამოვნო და გამამხნევებელი უნდა იყოს 1921 წლამდის ჩვენსავე პირობებში მყოფ ერთა დღევანდელი კეთილდღეობა და წინსვლა, რადგან ამაში ჩვენ ვხედავთ სრულ გამართლებას ჩვენი მისწრაფებისას—საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

ვ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩ ვ ე ნ ი ს ი ლ ვ ა.

კიდევ ერთი მგლოვიარე მოგონება, კიდევ ერთი სატირალი წელი.

17 თებერვალს, ოთხი წლის წინეთ, დავკარგეთ ჩვენი სიამაყე სილვა. დაღუპულ სამშობლოს მსხვერპლათ დაედვა მისი საუკეთესო შვილი. გრძნობიერმა გულმა ვერ აიტანა მოზღვავებული უბედურება და გასქდა. ბოროტმა სძლია კეთილი. მოჩირაღდნე ლამპარი დაიწვა, ჩაქრა ერთ წელიწადში: ვერ აიტანა ეს საშინელი ძალადობა, ერის დაკვლა, მისთვის სულის ამორთმევა და ურდოების გასათელათ გადაგდება. სპეტაკ, წმინდა სილვას შეეხო ბნელი, ჭუჭყიანი ხელები; მან თავის თვალით ნახა ხალხი დაცემული, პატიოსანი და ნათელი დევნილი და წამებული. ხანგრძლივი ბრძოლით და თავის დადებით მონაპოვარი განიავებული და აი ყველა ამ ბოროტების ჩამდენნი მისი ყოფილი მეგობრები და ამხანაგები! ტრაღედია ერის, პიროვნების, სულის ატოკებს სათუთ გრძნობებს და იწვევს ჩვენს სილვაში სულიერ ენერგიას და ფიზიკურ სნეულებას... ის, მოხუცი, რჩება გაჭირებულ ხალხთან ერთათ და მას ნუგეშათ ევლინება. სილვას ნუგეში—ეს დიდი სიმაგრე, დიდი იმედია. მარა მას დიდი დრო არ მიეცა. ის დადნა ერთ წელიწადში, წავიდა ჩვენგან და თან წაიღო ჩვენი გული. მან დაგვიტოვა თავისი სული, მან ჩაგვბერა თავისი სიმტკიცე, თავისი გაუტეხლობა და აღფრთოვანება. და ჩვენც არ დავაგდებთ ძველსა გზასა, არცა ძველსა მეგობარსა. სილვა ჩვენთანაა და ჩვენ მასთან. ჩვენი სული გაერთიანებულია, ჩვენი აზრი განუყრელია, ჩვენი სურვილი შეურყეველია. სილვას ანდერძი ჩვენი ანდერძია; თუ ჩვენ ვერ ავასრულებთ, მომავალი თაობა აასრულებს, უკვდავი ერი აასრულებს, ის ასრულდება, ბოროტი დაითრგუნება, ერს სიცოცხლე მიენიჭება.

შენ ვერ იხილავ, ჩემო სილვა, ამ აღდგომას, ეგება ვერც მე ვიხილო, მარა იქ, შენთან, ცის სივრცეში, ჩვენი აჩრდილნი იმ დღეს ერთათ შეიყრებიან და სიხარულის სიმღერა ჩვენამდე ამოწვდება. ჩვენში დღეს მოღრუბლულია, სქელი ნისლი ფარავს არე-მარეს. ყველა რიგიანი და ერთგული, ვისაც კი იცნობდი, დამალულია. ბნელი ზეწარი ფართეთ გაშლილია და მისი მფარველობით ყველა ბოროტი და გაიძვერა აშვებულია. მარა იმ დღეს, განკითხვის დღეს, ნისლი განიბნევა, მზის სხივები ქვეყნათ მოეფინება და ერთი მძივი შენკენაც ჩამოგორდება. ამ ამბავს შენ გადასცემ ჩვენ საყვარელ ნოეს, ჩვენ მამაც ვალიკოს, ჩვენ რაინდ ბენიას, ჩვენ ახალგაზდა შევარდენ გოგიტას, ყველას, ყველა წამებულთ და თავდადებულთ. მანამდე კი ვდგევართ შენ მიერ დატოვებულ სადარაჯოზე, მივდივართ შენთან ერთათ აღებულ მიმართულებით. ეკლიანია ეს გზა, დიდ მსხვერპლს ითხოვს, ზოგი ეცემა სულით, ზოგი მტრის მახვილით, მარა გზა შენ მიერ თელილი ჩვენგან არასოდეს დატოვებული არ იქნება.

ნ. ჟ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ც ო ტ ა რ ა მ ა ხ ლ ო წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ.

საქართველოს ოკუპაციის ხუთი წლის თავის გამო უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ახლო წარსული, ბრძოლის პირველი საფეხურები, ზოგიერთი ფაქტები რუსეთის საქართველოში შემოჭრის დღეებიდან, უცხო ხელის უფლების დამყარებიდან. ამ გლოვის დღეს მოვიგონოთ ბრძოლის დღეების უმთავრესი მომენტები, დანთხეული სისხლი, გაწეული შრომა, რაც მოგვცემს ახალ ენერგიას გამანთავისუფლებელი ბრძოლის გასაგრძობათ. საქართველოს 3 წლის დამოუკიდებლობა და ამ დამოუკადებლობის აღდგენისათვის ბრძოლა დაიჭერს საქართველოს ორი ათასი წლის ისტორიაში ერთ ბრწყინვალე ადგილს. ეს იძლევა იმავე დროს ნიადაგს ჩვენი მიმდინარე მოქმედებისა და გვიჩვენებს იდეალს, საითკენაც უნდა იყოს მიმართული ეს მოქმედება. ვერც ერთი თავისუფალი ქართველი ვერ დაივიწყებს ამ ამბებს, ვერ აუხვევს მათ გვერდს, ვერ დასტოვებს მათ თავის ბრძოლის და ინტერესების გარეშე.

მაშ გავიხსენოთ ზოგი რამ ჩვენი ტრაღიკული წარსულიდან.

---

### ს ა ბ ჭ ო თ ა რ უ ს ე თ ი ს თ ა ვ დ ა ს ხ მ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ზ ე.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მიერ 1921 წელს 21 თებერ. დამფუძნებელ კრების სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვიდან. *)

---

«მთავრობის თავმჯდომარეს ტრიბუნაზე ასვლისას კრება ესალმება ხანგრძლივი ოვაციებით და ტაშით.

---

მ თ ა ვ რ ო ბ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: მოქალაქენო! ეხლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც ომი ახლო მომავალში მიიღებს.

ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებია; მაგრამ მათ აქამდე ვერ შესძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი საბაბი. ხოლო ეხლა, ამ ათი დღის წინ იპოვეს ეს საბაბი ლორის რაიონში.

იქ მათ მოაწყვეს საიდუმლო შეთქმულება და დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ. იქ მათ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და, აი, ვითომ მის დასახმარებლათ მოდის რუსის ჯარი. სწორედ ამ თვის 15-ს გაიცა ბრძანება აზერბეიჯანში და სომხეთში მყოფ ჯარებისამდი და ეს ბრძანება ჩაგვივარდა ჩვენ ხელში ტყვეების საშუალებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია, თფილისის აღება და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. იქ ჩამოთვლილია თუ რომელ ჯარის ნაწილმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა იქნას აღებული ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი. ბოლოს ნათქვამია, რომ 19 თებერვალს უნდა იქნას აღებული თფილისი.

ამ ჯარის პირველი შემოტევა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სავსებით მუხანათური. და, აი, ამ უეცარმა და მოულოდნელმა შემოტევამ შეარყია ჩვენი ჯარის მდგომარეობა იქ, საცა ეს ჯარი იდგა. და შეარყია იმ ზომამდე, რომ იყო მომენტი, როცა ბორჩალოს მაზრაში საზღვარზე მდგარმა ჯარებმა სრულიად ვერ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროთ უნდა ითქვას, რომ ჯარმა და აგრეთვე ჩვენმა ხალხმა სწრაფათ შეიგნეს მდგომარეობა, გამოსწორდენ და დროზე შეუდგენ საორგანიზაციო სამხედრო მუშაობას. ეს სწრაფი აღდგენა მდგომარეობისა, წინათ დასუსტებულ ჯარების ეს ახალი შეჯგუფება, ეს სწრაფი თავის მოყრა ჯარების და მათი სწრაფი შეკავშირება—არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს აქ (თფილისში) ვიმყოფებით. ეს ჩვენ ლორიდან დავიწყეთ. როცა შევამჩნიეთ, რომ, ერთი მხრით, ამ მუხანათურ თავდასხმამ შეარყია ჩვენი ჯარი, ხოლო, მეორე მხრით, მოსალოდნელი იყო-

---

*) მოგვყავს 1621 წლის 24 თებერვლის «ბორბა»-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბეიჯანიდანაც დაგვესხმოდენ თავს, ჩვენი მიზანი შეიქნა გამოგვეყვანა ეს დასუსტებული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან და უკეთესი პოზიციები დაგვეკავებია. უკან დახევა ალაგალაგ სწარმოებდა წესიერით, ალაგალაგ არ ხდებოდა წესრიგით, როგორც ეს უკანდამხევ ჯარს შეეფერება. საერთოდ კი იქ მდგომ ჯარის დიდმა ნაწილმა დაიხია წესიერათ, ან გამოვიდა ნაწილ-ნაწილათ.

გამოსულები დაღლილი იყვნენ, მაგრამ არა საბოლოოთ გატეხილი; მათ მხოლოთ 1—2 დღის დასვენება ესაჭიროებოდათ, რომ ისეთივე ჯარისკაცები გამხდარიყვნენ, როგორც ახალგამოყვანილი მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვნახეთ ბათუმში 1918 წელს. საკვირველი ისაა, რომ, მიუხედავათ უეცარი თავდასხმისა, მიუხედავათ მოულოდნელ გამოსვლისა, დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია.

ამ გვარათ, ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით გამოგვეყვანა მტრის წინააღმდეგ კარგათ გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნობით გამსჭვალული ჯარი.

პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტერს მივეცით, ეს იყო 19 თებერვალს ღამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტზე, დაახლოვებით 100 ვერსტის მანძილზე. 18 და 19 თებერვალს ადგილი ჰქონდა მტრის შემოტევას მთელი ამ ფრონტის სივრცეზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდი ბრძოლა.

19-ს დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით მტრის ცენტრის გარღვევა და ის სავსებით დამარცხდა. შემდეგ, 19 თებერვალს დილით მოხდა ბრძოლა ჩვენს მარცხენა ფლანგზე.

იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერმა ნამეტანი წამოიწია წინ, მოვიდა მარტყოფში, ლილოში და აქ, 19 თებერვალს, მოხდა ჩვენი მასთან შეტაკება; ჩვენ ვაიძულეთ ის უკან დაეხია, გავრეკეთ ყარაიაზში.

მხოლოდ დღეს, 21-ს, და წინ ღამით მოხდა დიდი ბრძოლა მარჯვენა ფლანგზე. აქ ბრძოლა თითქმის ისეთივე მწვავე იყო, როგორც კენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდის გააფთრებით, მტკიცეთ და დისციპლინასაც იჩენს. გასულ ღამით კოჯორის მიდამოებში მდგარ ჩვენს ჯარებს თავს დაესხნენ და მოინდომეს გაერღვიათ ერთი ადგილი, რომელიც არ იყო საკმარისათ დაცული. აქ მათ დახვდენ იუნკრები და თქვენ იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა,—ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს. (მხურვალე ტაში.) მტრის ჯარს რამდენიმე ისეთი მაღლობები ეჭირა, რომ ზედ ზარბაზნები დაედგათ, შეიძლებოდა მთელი თფილისის განადგურება. გუშინ მივიღეთ ჩვენ ზომები ამ მაღლობების წასართმევათ. ეს იყო ჩვენი გამარჯვების პირველი ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიუდგომელი ადგილები, ასეთი მაღლობები, საცა მტერი იყო გამაგრებული, ჩვენი გვარდიის ნაწილებმა იერიშით აიღეს ისე, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ (ხმები; «გაუმარჯოს» და მხურვალე ტაში).

ამ ომში გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას; თვით ის მხნეთ უტევს, მაგრამ მის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევას ის ვერ უმაგრდება,—წინააღმდეგ შემთხვევაში, მას რომ შეტევის მოგერიების უნარი ქონდეს, ასეთ სიმაღლეებს ის არ დასტოვებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია სამაგალითო მხნეობას იჩენენ (აქ დამფუძნებელი კრება ფეხზე ადგომით, ტაშით და «ვაშას» და «გაუმარჯოს» ყვირილით მიესალმება ჯარსა და გვარდიას). მე მგონია, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, აჩქეფდა ჩვენი წინაპრების სისხლი,—იმ წინაპრების, რომელნიც შემოჭრილ მტრის ურდოებს პატარა რაზებით ამარცხებდნენ.

ეხლა მინდა მოგახსენოთ, თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღოლობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ. იცით ალბათ, რომ აქ გამოგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, საცა სწერია, რომ შულავერში შედგა «საქართველოს მთავრობა» და ეს შულავერში შეყენებული «საქართველოს მთავრობა» ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ხალხს, დამფუძნებელ კრებას გადააყენონ თავიანთი ხელისუფლება, გადააგდონ იგი და იცნონ შულავერის «მთავრობა». ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავისი მართველობა. ესენი არიან—მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი, ომარი, გეგეჭკორი ალექსანდრე, და კვირკველია. და, აი, ბატონებო, ამ ქართველთ, ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელნიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერს მოუძლვიან და სცდილობენ სისხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარი და გახდენ საქართველოს ტირანები—მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არასოდეს არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარი გზით თავის თავზე არ აიღებს. იმისთვის ხომ არ უშრომია, იმისთვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ შულავერის «მთავრობა» მიეღო. მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს, რა ვაჟბატონები აპირებდენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: «ან სიკვდილი, ან განარჯვება». (ტაში, მხურვალე ოვაციები. წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის ბელადს ნოე ჟორდანიას!)».

---

თფ. მუშათა ბათალიონის რაზმელის დღიურიდან. *)

23 თებერვალი.

ღამის 3 საათზე ვიჭერთ სამი მთის გამაგრებულ პოზიციებს, ლოჭინის ხიდის ახლოს. ისეთი სუსხიანი ქარი ჰქრის, რომ დაბადების დღეს ვიწყევლით.

გორაკებზე საუცხოვო სანგრები, ბლინდაჟები და გასასვლელები დაგვიხდა გამზადებული.

ეს თადარიგი მდავრობას დაუჭერია რამოდენიმე თვის წინ ყოველ შემთხვევისათვის. ღამე სიცივემ და ქარმა სიკვდილი მოგვანატრა. მტერზე არავინ ფიქრობს, მგონი. ვინც ვერ მოითმინა და დაიძინა, ავათ გახდა.

დილით გვარდიელებმა იქვე, სანგრების წინ, ღელეში გადაირბინეს შეშისათვის. უცებ გამოჩნდენ მტრის ცხენოსნები და ცხვირ წინ სამი გვარდიელი მოგვტაცეს. უბედურებს იარაღი თან არ წაელოთ, ისე წასულიყვნენ.

ყველანი დავლონდით, მაგრამ შველა არ შეიძლებოდა, რადგან სროლით ჩვენებს დავხოცავდით. უნდა ითქვას, რომ მტრის კავალერია ძალიან გათავხედებულია. სანგრებზე სულ ახლოს მოდიან, მათ ერთმა ჯგუფმა მოინდომა იქვე ჭალაში მაძოვარი საქონლის ჯოგის გარეკა. მაგრამ ცეცხლით გავფანტეთ. ერთი ცხენი მკვდარი დასტოვეს და რამდენიმე მხედარი დაჭრილი.

ჩვენი არტილერია კარგათ უმიზნებს, ერთი ყუმბარა შიგ მწყობრში ჩაუგდო, რის შემდეგაც იკადრეს დაქვეითება და გაფანტვა.

საღამო ხანს ჩვენთან მოვიდენ ალექსანდრე, ვლადიმერი და შტაბის სხვა წევრები.

ჩვენ შეკითხვაზე ფრონტის მდგომარეობის შესახებ სიცილი დაგვიწყეს: მთელმა ევროპამ გაიგო ჩვენი ჯარის და გვარდიის გამარჯვებები და თქვენ არ გცოდნიათო.

შტაბის წევრების სიტყვით მარცხენა ფრთის ბედი ამაღამ ან გათენებისას უნდა გადაწყდეს.

გვემატება ტყვიის მფრქვეველები და ორი ზარბაზანი.

საბედნიეროთ ქარი ჩადგა. უწყლობამ ძალიან გაგვიჭირვა საქმე.

დაღამდა. მტერმა ვაზიანისაკენ რაღაცას ცეცხლი გაუჩინა. მოსჩანან ღამის წყვდიადში ცეცხლის კოცონები. ლამაზი სანახაობაა, მაგრამ, როგორც ამაზე იფიქრებ, მაშინვე მოგაგონდება, თუ რისთვის დგეხარ აქ და მწარე ფიქრები გულს გიკლავენ...

ღამემ წყნარად ჩაიარა.

---

24 თებერვალი.

დილაა. მტერი არა სჩანს.

გვარდიელები გადადიან ლიანდაგზე შეშისთვის. მე და ამხ. ა. გ-ძეც მივდივართ. გავიარეთ ერთ ნახ. ვერსტზე მეტი, მიუახლოვდით ლოჭინის ხიდს, მაგრამ მტერი ვერ შევამჩნიეთ.

დილის 11 საათზე გამოჩნდნენ ცხენოსნები. ჩვენსკენ მომავალი მტრის კოლონები ადვილათ გაფანტა არტილერიის ცეცხლმა.

მტერს ჩვენს წინ, სულ ახლოს, ოთხი ზარბაზანი უდგას, რომელიც ამაოდ ეძებს ჩვენს არტილერიას.

თოვს. ირგვლივ ნისლი ჩამოწვა. მტერმა არტილერიის ცეცხლი სანგრებზე გადმოიტანა.

---

*) ეს წერილი ამოღებულია გაზ. «ერთობა»-დან—5 მარტი 1921 წ. № 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბედნიეროთ, ბევრი ყუმბარა არ სქდება. ეტყობა, შეტევისათვის ემზადებიან...

ღამდება. ჩვენ მარჯვნივ უკვე დაიწყო მტერმა შეტევა. განუწყვეტელი მწყობრი სროლაა. ორი იერიში მოგერებულია. სროლა მიყუჩდა. თოვს და საშინლათ ცივა.

ღამის პირველ საათზე ირკვევა, რომ ჩვენი მწყობრის გარდა ყველანი წასულან სადღაც.

რაშია საქმე? იქნებ იყო საამისო ბრძანება?

გუნდის უფროსს გზაში შეუმჩნევია, რომ ჩვენი მწყობრი არ ჩანდა და შიკრიკი გამოეგზავნა.

არ გვჯერა, რომ უკან ვიხევთ. დღეს დილით ხომ ყველანი დარწმუნებული ვიყავით ჩვენს გამარჯვებაში?

ალბათ, მტრის მარჯვენა ფრთის შემოსავლელათ თუ მივდივართ!

გზაში დავეწიეთ ყველა ბათალიონებს.

რად ვიხევთ უკან?

თურმე ჩვენი ბედი მარჯვენა ფრთას გადაუწყვეტია. მტერს მრავალრიცხოვანი მაშველი ჯარი მოსვლია ცენტრში.

დიდ უბედურებას ვგრძნობთ ყველანი.

თფილისი დაეცა.

ასე მოულოდნელათ, ასე ჩქარა!

ნუ თუ ყველაფერი გათავებულია?

აღმოსავლეთით ვუახლოვდებით ჩვენს საყვარელ ქალაქს. ეს გამოთხოვების წუთები უცნობ განცდას იწვევენ ჩვენში. ვგრძნობ, რომ რაღაც მეტათ ძვირფასი და საყვარელი დავკარგეთ.

ქალაქი ჩვეულებრივათ გაჩირაღდნებულია. იქნება მან არც კი იცის, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია!

ქალაქს თავს ჰაეროპლანი დასტრიალებს,—უეჭველია, ჩვენი.

ნახვამდის ჩვენო საყვარელო დედა ქალაქო!

არ გემშვიდობები, რადგან მჯერა, რომ შენ ისევ ჩვენი იქნები.

რაზმელი —ია.

——

ვ ი ნ გ ვ ე ბ რ ძ ვ ი ს. *)

ომის დაწყებისას, რაც სომხეთში მყოფი საბჭოთა ჯარი დაესხა თავს საქართველოს, ოფიციალურათ მებრძოლ მხარეთ ჩვენს წინააღმდეგ სომხეთის საბჭოთა კომისრების მთავრობა გამოდიოდა. ხოლო რუსეთის ჯარები, ასე ვთქვათ, მათ ეხმარებოდენ, როგორც თავის მეგობარს და მოკავშირეს. რამდენიმე დღის შემდეგ სომხეთში ძალა-უფლება ძველმა მთავრობამ ჩაიგდო ხელში, და საქართველოსთან ომზე, რასაკვირველია, ხელი აიღო. პირიქით, დღეს სომხეთის თავდაცვის კომიტეტი ვრაციანის მეთაურობით ებრძვის ბოლშევიკებს, ემხრობა საქართველოს. მაშ ვინ იბრძვის დღეს საქართველოს წინააღმდეგ?

აზერბეიჯანის თათრობა მხოლოდ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ახდენს აჯანყებას და საქართველოს მეგობრული თვალით უყურებს.

დარჩა მოსკოვის საბჭოთა მთავრობა, რომელიც სოციალისტობას ჩემობს, მ კირე ერთა თვითგამორკვევას ქადაგებს, ნამდვილათ კი, ამ დიდ იდეებს არცხვენს და თავის შავბნელ იმპერიალისტურ ზრახვებს ახორციელებს.

მაგრამ მოსკოვს ვერ გაუბედია დღემდე აშკარათ თქვას ის, რასაც ჩადის.

იგი ყურს იყრუებს, თითქო არაფერ შუაში იყოს და თან ათასგვარ ჭორებს ავრცელებს რადიოთი, თითქო საქართველოს მთავრობას საქართველოს მუშები და გლეხები უჯანყდებოდნენ.

რა უტიფრობაა! რა უსირცხვილო ჭორია! ქართველი მშრომელი ხალხი ჯარსა და გვარდიაში შეჯგუფებული, დღეს გააფთრებული იბრძვის ამ შემოსულ მუხთალი მტრის მოსაგერებლათ.

პროფესიონალური კავშირები და მოწინავე გლეხობა ერთიანათ მოხალისეთა რაზმებს ადგენენ და ფრონტზე მიეშურებიან, რომ დაიცვან თავის სისხლით მოპოვებული დემოკრატიული რესპუბლიკა.

---

*) ეს წერილი ამოღებულია გაზ. «ერთობა»-დან—6 მარტი 1921 წ. № 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ბალშევიკურ შავი რეაქციის წინააღმდეგ იცავენ დიდი რევოლიუციის დიდ ლოზუნგებს, ერთა თვით-გამორკვევას, დამოუკიდებლობას, და თავისუფალ დემოკრატიულ წყობილებას, რომელიც მათ სისხლით მოიპოვეს.

საარაკო, უმაგალითო ერთსულოვნობით იცავდენ თფილისის მუშები რევოლიუციურ თფილისს და იბრძვიან დღეს მის დასაბრუნებლათ.

რუსეთის საბჭოთა ჯარი შემოიჭრა ჩვენში, როგორც დამპყრობი ძალა, როგორც მძარცველი ბრბო, როგორც იმპერიალისტური ლაშქარი, რომელსაც რამდენიმე ბაქოში მოკალათებული მოღალატენი და ერის უღირსი შვილნი უდგანან სათავეში.

სრულიად უნიღაბოთ, პირდაპირ რუსეთიდან შემოიჭრა მე-9 არმიის პოლკები სოხუმის ოლქში და იპყრობს ამ კუთხეს, რომელიც თავის სახალხო საბჭოს მეთაურობით სასტიკათ ებრძვის ამ შემოსეულ მტერს.

მცხოვრეგლები გარბიან მათი მოახლოვებისას.

ჩვენ კატეგორიულათ ვაცხადებთ მთელი კაცობრიობის წინაშე, რომ რევოლიუციური საქართველო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის დამოუკიდებლობას.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ საბჭოთა რუსეთის მოქმედების უსაშინელესი რეაქციონური ხასიათი არასოდეს არ ყოფილა ისე აშკარა და ნათელი, როგორც რევოლიუციურ საქართველოზე თავდასხმის დროს.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა იცის საქართველოს სახელოვანი რევოლიუციური ბრძოლა; და საბჭოთა რუსეთის გამოლაშქრება ჩვენს წინააღმდეგ ეს არის უსირცხვილოთ გათელვა მუშათა კლასის ყველა იდეების და ზურგიდან ლახვარის ჩაცემა საერთაშორისო ინტერნაციონალის ერთი რაზმისთვის, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს მშრომელი დემოკრატია.

სამარცხვინო ბოძზე უნდა იქნენ გაკრული ეს მსოფლიო ჯალათები, ეს დიდი რევოლიუციის წმინდა იდეების და ერთა თავისუფლების მტრები.

---

### მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ მ უ შ ა თ ა ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს!

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის საზღვარგარეთელ წარმომადგენლობის მიერ წარდგენილი 1922 წლის შემოდგომაზე.

---

ისტორიამ ინება, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას წილათ ხვედროდა დაარსება და სათავეში ჩადგომა უაღრესათ დემოკრატიულ რესპუბლიკის, რომელსაც მართავდა პროლეტარიატი და გლეხობა და რომელიც მოწოდებული იყო მათი სოციალური მოთხოვნილებები განეხორციელებია. პარტია შესდგებოდა მაშინ—1918 წელს—80.000 წევრისაგან; მაგრამ მისი გეგემონია ცნობილი იყო ერის დიდი უმრავლესობის მიერ, რომელიც მას მხარს უჭერდა. დამფუძნებელ კრების არჩევნებში 1919 წელს პარტიამ 130 ასარჩევ დეპუტატთა რიცხვიდან გაიყვანა 102; აგრეთვე ყველა ქალაქის თვითმართველობები და საერობო საბჭოები იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელში, რომელიც, ამგვარათ, გახდა რესპუბლიკის ბედის ბატონ-პატრონი და ხელმძღვანელი.

პარტიის პოლიტიკურ შეხედულებებმა და მის აღმშენებლობითი მუშაობამ გამოხატულება ჰპოვეს დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ სახელმწიფო კონსტიტუციაში და ქვეყნის სოციალურ კანონმდებლობაში. მან სავსებით განახორციელა ს.-დემოკრატიის პროგრამა მინიმუმი (მიწების უსასყიდლო კონფისკაცია, დემოკრატიული რეჟიმი, 8 ს. სამუშაო დღე, შრომის მფარველობა და სხვ. და სხვ.) და ჩაუყარა საფუძველი სოციალურ გარდაქმნას. ამ მიზნით ჩამორთმეულ მამულთა დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადდა, მოხდა რკინის გზათა, მაღაროების, მინერალურ წყლების, კლიმატიურ სადგურების, ზოგიერთ საქონელთა ექსპორტის ნაციონალიზაცია; სახელმწიფომ შეიძინა ფასის ანაზღაურებით ზოგიერთი ქარხანა და სხვ. და სხვ. ყველა ამ ჩამორთმეულ ქონებათა ნაწილს მართავდა თვით სახელმწიფო, დანარჩენი გადაეცა ქალაქებს და ერობებს. ამას გარდა, სახელმწიფო ხელს უწყობდა თვითმართველობათა, კოოპერატივების და სხვადასხვა საწრმოო საზოგადოებათა სამრეწველო მოღვაწეობას. ამავე დროს მთავრობა მფარველობდა კერძო საკუთრების პრინციპზე აგებულ ვაჭრობა-მრეწველობას. უაღრესათ დემოკრატიული წყობილება პოლიტიკურ

სფეროში, სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალიზმი ეკონომიურ სფეროში—აი პარტიის და სახელმწიფოს საქმიანობა.

მაგრამ მთელი ეს სოციალური და პოლიტიკური მუშაობა, ეს პირველი ცდა სახელმწიფოს ფარგლებში სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის განხორციელებისა განადგურებულ იქნა მოსკოვის ჯარების შემოსევით და საქართველოში რუსულ საოკუპაციო რეჟიმის დაწესებით (1921 წ.).

პარტიის საგარეო პოლიტიკა, მის დემოკრატიულ და სოციალურ შეხედულებებზე აშენებული, არავითარ საბაბს არ აძლევდა საქართველოს ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებს მის შინაურ საქმეებში ჩარეოდენ და მას სამხედრო ძალით თავსდასხმოდენ. ჯერ კიდევ ოქტომბრის (1917 წ.) გადატრიალების დღეებში პარტიამ საქვეყნოთ განაცხადა, რომ ის თავს დაიჭერს რუსეთის სამოქალაქო ომში რაიმე სახით ჩარევისაგან და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მან მიზნათ გაიხადა თავის სახელმწიფოს საზღვრების დაცვა სხვების ინტერესთა დაურღვევლათ, ყველა მოსაზღვრე ქვეყნებთან მეგობრულ განწყობილების დამყარება და კავკასიის ეროვნულ სახელმწიფოთაგან კონფედერაციის დაარსება. ამ პრინციპების თანახმათ საქართველოს მთავრობამ დასდო მეგობრობის ხელშეკრულებანი თავის მეზობლებთან და მათ შორის მოსკოვის მთავრობასთანაც. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძალით მოსკოვის მთავრობამ იცნო საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და აიღო ვალდებულება უარი ეთქვა საქართველოს საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე. აი რას ამბობს ამის შესახებ ხელშეკრულების პირველი ორი მუხლი:

მ უ ხ ლ ი I.

«ეყრდნობა რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ხალხთათვის აღიარებულ თავისუფალ თვითგამორკვევის უფლებას იმ სახელმწიფოსაგან სრულ ჩამოშორებამდე, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ, რუსეთი სცნობს სავსებით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და ნებაყოფლობით იღებს ხელს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

მ უ ხ ლ ი II.

«ეყრდნობა რა ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში განცხადებულ პრინციპებს, რუსეთი ვალდებულებას იღებს თავი დაიჭიროს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევისაგან.»

მაგრამ დადებულ იქნა თუ არა ეს ხელშეკრულება, მოსკოვის ბოლშევიკური მთავრობა შეუდგა ფარულათ საქართველოზე თავდასხმის მზადებას. მას უკვე დაპყრობილი ქონდა აზერბეიჯანი, სომხეთი და მომდგარი იყო საქართველოს კარებზე. 1920 წლის დეკემბერში მოსკოვის მთავრობამ თავის განზრახვათა განხორციელება მიანდო კავკასიის არმიის უფროსს, ჰეკკერს; უკანასკნელმა საიდუმლოთ შეიმუშავა რესპუბლიკაზე თავდასხმის პლანი, რომელშიაც საქმის წარმატების ერთ მთავარ პირობათ ნაგულისხმევი იყო ოსმალეთის დახმარება. *)

7 მაისის ხელშეკრულების დადების გამო საქართველოს მთავრობამ თავისი ჯარის დიდი ნაწილის დემობილიზაცია მოახდინა და მთელი თავისი ძალები შინაურ აღმშენებლობით მუშაობას მიაპყრო. უეცრათ, სრულიად მოულოდნელათ და ომის გამოუცხადებლათ, 1921 წლის 11 თებერვალს, რუსის ჯარებმა შეუტიეს საქართველოს ყოველი მხრიდან. 5 კვირის წინააღმდეგობის შემდეგ საქართველო გასრესილ იქნა. მთავრობა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი და მრავალი პოლიტიკური მოღვაწენი გაიხიზნენ ევროპაში. თავდამსხმელებმა გაანადგურეს საქართველოში დემოკრატიული წყობილება და მის ალაგას დაამკვიდრეს ბოლშევიკური სამხედრო საოკუპაციო რეჟიმი, რამაც ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება სრულიად მოშალა. თავისუფლების ალაგას ხიშტი დამკვიდრდა. რუსის ჯარმა თან მოიყვანა ქართველი კომუნისტები, რომლებიც საქართველოდან გაძევების შემდეგ რუსეთის სამსახურში იყვნენ

*) იხ. «ჰეკკერის მოხსენება», რომელიც გამოქვეყნებული იყო 1921 წელს სხვადასხვა ევროპიულ ენებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომლებსაც მოსკოვი შირმათ ხმარობს საქართველოში თავისი ბატონობის დასამკვიდრებლათ.

ბოლშევიკები შეეცადენ დაემალათ ევროპისათვის მათი ბოროტმოქმედება: ამ მიზნით მათ მოიგონეს ტყუილი, ვითომდა საქართველოში შინაგანი გადატრიალება მომხდარიყოს. მოსკოვმა ამ ჰანგზე აალაპარაკა ევროპის კომუნისტური პრესა. ჩვენმა პარტიამ და საქართველოს მთავრობამ დაუპირდაპირეს ამ კამპანიას აშკარა ფაქტები, რამაც შეუძლებლათ გახადა ჭეშმარიტების დამალვა.

დაბოლოს, ტროცკი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ თავის წიგნში და რადეკი სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის კრებაზე ბერლინში იძულებული გახდენ აღიარებით, რომ საქართველოს მართლაც თავს დაესხენ რუსის ჯარები.

ამ იმპერიალისტურ აქტის გასამართლებლათ ტროცკი შეეცადა ჩვენი პარტია კონტრრევოლიუციონერათ გამოეყვანა, რის დასამტკიცებლათ მოიმიზეზა სხვადასხვა მოსაზრებები. მაგრამ მან ვერ მოიყვანა ვერც ერთი სინამდვილეზე დაყრდნობილი მოსაზრება; ეს იყო სულ ცალიერი ფრაზები, რომლებიც ოდნავათაც არ შეეფერებოდენ სიმართლეს. მისმა მთავრობამ და თვით მან კარგათ იცოდენ და იციან, რომ საქართველოს მთავრობას არ შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია დენიკინის არმიისათვის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი თვით იმყოფებოდა საომარ მდგომარეობაში საქართველოსთან.

ტროცკის მთელი წიგნი წარმოადგენს «მგლის და კრავის» არაკის განმეორებას.

ამავე დროს, მოხსენება, რომელიც ქართველ კომუნისტების ლიდერმა და საქართველოს საბჭოთა მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ, ბ. ფილიპე მახარაძემ წარუდგინა რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აშკარათ მოწმობს, რომ მოსკოვის ჯარების თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკაზე თვით საქართველოში მყოფ ქართველ კომუნისტებისათვისაც სრულიად მოულოდნელი იყო.

აი რას სწერს მახარაძე, სხვათა შორის:

> «. . . საქმე იმნაირათ დატრიალდა, რომ როდესაც რუსის წითელ არმიების შემოტევა დაიწყო, არც ერთმა კომუნისტურ უჯრედმა, ასე გასინჯეთ, არც ერთმა პარტიის წევრმაც კი არაფერი იცოდა ამ შეტევის მიზნების და განზრახვების შესახებ და არავითარი ეჭვიც კი არ ჰქონდა...
>
> «და აი რა მოხდა:
>
> «1. წითელი არმიის საქართველოში შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო გარედან მოხდენილ დაპყრობის ხასიათი, რადგან იმ მომენტში შიგნით არავინ ფიქრობდა აჯანყების გამოწვევას;
>
> «2. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს, არ აღმოჩნდა არც ერთი პარტიული უჯრედი, არც ერთი პარტიის წევრი, მეტი რომ არ ვთქვა, რომ მმართველობა შეედგინა და მომეტებულათ საეჭვო ელემენტებმა და პირდაპირ სისხლის სამართლის დამნაშავეებმა გაგვიწიეს დახმარება.» *)

აი როგორ დაესხა თავს საქართველოს მოსკოვი. ის იქამდე მივიდა, რომ დახმარება სთხოვა სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომელნიც ციხიდან ახლათ გამოშვებულნი ჩაუყენეს სათავეში სამოქალაქო მმართველობას და ადმინისტრატიულ ორგანოებს. ყოველივე ეს კრემლის დიქტატორებმა მოიმოქმედეს ერთათ-ერთი მიზნით—ხელში ჩაეგდოთ საქართველოს სიმდიდრე და თავიდან მოეშორებიათ თავიანთი მოქიშპე სოციალ-დემოკრატია.

სამი ინტერნაციონალის აღმ. კომიტეტის წარმომადგენელთა კონფერენციაზე ბერლინში ბ. რადეკმა გულახდილათ აღიარა, რომ საქართველოს ოკუპაცია ნავთის გზების დასაპყრობათ იქნა მოხდენილი.

1920 წლის 14 ნოემბრის ეკონომიურ შეთანხმების ძალით, საქართველოს მთავრობამ უფლება მიანიჭა მოსკოვს ესარგებლა ნავთსადენით (პაიპ-ლაინ) და ნავთის რეზერვუარებით და ამგვარათ უზრუნველყო ის საქართველოს ტერიტორიით ნავთის უცხოეთში თავისუფლათ გატანის მხრივ. მაგრამ მოსკოვი ამით არ დაკმაყოფილდა

---

*) იხ. ეს საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებული იყო მრავალ სოციალისტურ ორგანოებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ენებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადასწყვიტა ნავთსადენის განუყოფელი ბატონ-პატრონი გამხდარიყო და ხელში ჩაეგდო საქართველოს ყველა სიმდიდრეები.

მეორე მიზეზი საქართველოზე თავდასხმისა იყო ბოლშევიკების სიძულვილი სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკისადმი. ეს სიძულვილი სოციალისტებისადმი, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია, ვინემ სიძულვილი ბურჟუაზიისადმი, ბოლშევიკების დამახასიათებელია. მათ გონიათ, საკმარისია მოსპონ სოციალ-დემოკრატები, რომ ქვეყანაზე ბოლშევიზმი გამეფდეს. და აი ამიტომ რუსეთის მონაპირე ყველა პატარა რესპუბლიკათა შორის ყველაზე უფრო აუტანელი იყო მათთვიის საქართველოს რესპუბლიკა, საცა ბოლშევიზმის ანტიპოდი, მენშევიზმი, ატარებდა სახელმწიფოს მასშტაბით სოციალისტურ ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას.

ამ გვარათ, ორი მეთოდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. პროლეტარიატის მიერ წამოყენებულ კითხვას: რა უნდა ქნას მუშათა პარტიამ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ, რუსულ ბოლშევიზმმა და ქართულ მენშევიზმმა სხვადასხვა პასუხი გასცეს. პირველმა თავისი დიქტატურით და ტერორით გაანადგურა ქვეყნის სიმდიდრე, მოსპო საწარმოო ძალები, დაქსაქსა პროლეტარიატი, ერთის სიტყვით უზარმაზარი რუსეთი საფლავის კარზე მიიყვანა. მეორემ დემოკრატიით და თავისუფლებით სამოქალაქო ომის გარეშე გაატარა რეფორმები, ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა განვითარებას, ქვეყანა აღორძინების გზაზე დააყენა.

პოლიტიკა მისი შედეგების მიხედვით ფასდება. და რა გასაკვირალია, რომ მოსკოვის მბრძანებელთ, რომელთაც ქართველი სოციალ-დემოკრატია ყველა სხვა პარტიაზე უფრო სძაგთ, იგრძნეს რა თავისთავი დამარცხებულათ იდეურ ბრძოლაში, შური იძიეს უხეში ძალის საშუალებით და შეუსიეს ნორჩ რესპუბლიკას თავისი ურდოები.

საყოველთაოთ ცნობილია, რომ ბოლშევიზმმა დაარბია საქართველო. აქ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ იმ ცნობებს, რომელიც გამოაქვეყნა ამას წინათ საქართველოდან დაბრუნებულმა ამსტერდამის ინტერნაციონალის დელეგატმა, ამხ. ბრაუნტალმა:

> «განადგურება, განარგურება, უნუგეშო განადგურება: აი შთაბეჭდილება, რომელსაც იღებს საქართველოში ჩასული კაცი. ქუჩები, სახლები-სახელმწიფო დაწესებულებები, ბინები, ავეჯი, სკამები, მაგიდები, დარაბები, ტანთსაცმელი, საცვლები, ფეხსაცმელი—ყველაფერი დახეული, გაცვეთილი, დანგრეული, აკლებული და განადგურებულია.» *)

ბევრი სამოქალაქო ომს სთვლიდა საბჭოთა რუსეთის ნგრევის მთავარ მიზეზათ. მაგრამ საქართველო ხომ ყოველივე სამოქალაქო ომის გარეშე განადგურდა? მაშ რუსეთის ნგრევის მიზეზი ყოფილა არა სამოქალაქო ომი, არამედ ბოლშევიკურ მართველობის ბუნება და მეთოდი. ბოლშევიზმს შეუძლია მხოლოდ განადგურება, გაფლანგვა და განიავება სხვისი შრომის ნაყოფის; მას არ ძალუძს არც შემოქმედება, არც წარმოება. რატომ? იმიტომ რომ მისი კომუნიზმი არის არა კომუნიზმი სამრეწველო პროლეტარიატის, არამედ წვრილბურჟუაზიულ ელემენტების, გლეხების და ნახევრათ გლეხების, რომელთა წარმოდგენით სოციალური რევოლიუცია გამოიხატება ქონების დაყოფაში, ძარცვაში, წვრილ საკუთრების შენარჩუნებაში და ყოველივე მსხვილი მეურნეობის და კაპიტალისტურ მრეწველობის განადგურებაში. აი ესაა ბოლშევიზმის მთელი პსიხოლოგია, რომელიც მხოლოდ გარეგნულათ არის ანტიბურჟუაზიული. მაგრამ ჩვენს დროში მსხვილი მრეწველობის დანგრევა, თუ ის საზოგადოებრივმა წარმოებამ არ შესცვალა, იწვევს წვრილი მრეწველობის განადგურებას. ამიტომაც რუსული კომუნიზმი გახდა მიზეზი ყოველგვარ მეურნეობის და მთელი ქვეყნის განადგურებისა.

საქართველოს ოკუპაცია მოსკოვის მთავრობის მიერ მოასწავებს იქაც მოსკოვის პოლიტიკის გატარებას და ქვეყნის მთელი პოლიტიკური და მატერიალური ცხოვრების განადგურებას.

აი რა პირობებში უხდება ამ ჟამათ პარტიას ცხოვრება, მუშაობა, მოქმედება.

პირველათ მან სცადა ლეგალურ ნიადაგზე დამდგარიყო. ამ მიზნით მან უკუაგდო ამბოხების პოლიტიკა და შეეცადა სოციალისტური საშუალებებით მოეწესრიგებია კონფლიქტი ბოლშევიკებთან.

---

*) იხ. «კომუნიზმიდან იმპერიალიზმისაკენ», იულიუს ბრაუნტალის. ვენა, 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის გაზაფხულზე მოწვეულმა პარტიულმა ყრილობამ ერთხმათ დაადგინა, რომ საქართველოს საკითხი გადაწყვეტილიყო სამივე ინტერნაციონალების ხელმძღვანელობით და მონაწილეობით; მათ უნდა გამოერკვიათ ხალხის ნება-სურვილი თავისუფალი არჩევნების საშუალებით. ეს წინადადება, მიღებული მე-2 და ვენის ინტერნაციონალების მიერ, უკუაგდო მოსკოვის მთავრობამ. მსგავსათ საშუალო საუკუნოების პაპის ეკლესიისა, ბოლშევიზმი არ ითმენს არავითარ განსხვავებულ პოლიტიკურ მიმდინარეობას; ჩვენი პარტია აკრძალულ იქნა საქართველოში, მისი ორგანიზაციების ქონებას, შენობებს, სტამბებს, ბიბლიოთეკებს, არქივებს, ბინებს—კონფისკაცია უყვეს, ცოტათ თუ ბევრათ ცნობილი ამხანაგები ციხეში ჩასვეს.

ამჟამად საქართველოს ციხეებში იმყოფება დაახლოვებით 12.000 პოლიტიკური ტუსაღი, რომელთა 85 პროც. ჩვენი პარტიის წევრებია. საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ეს მასიური დევნა პირველათ მიმართული იყო მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა მიზნათ დაისახეს მოესპოთ უპირველესათ სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ყველაზე მძლავრათ აქვს გადგმული ფესვები მშრომელთა ფართე წრეებში, ძირბუდიანათ ამოეგდოთ მენშევიზმი, ეს მათი შეურიგებელი მტერი. მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. როცა აშკარა გახდა, რომ რუს საოკუპაციო ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოსპობა, სოციალ-დემოკრატიული პარტია იძულებული გახდა დაეტოვებია ლეგალური გზა და გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაში.

სოციალდემოკრატები დაითხოვეს სხვადასხვა სამსახურიდან და ჩაყარეს ციხეებში. მათი ხვედრია შიმშილი და ეპიდემიები, რომლებიც მძვინვარებს ციხეებსა და ჩეკაში. ასეთ პირობებში დაჰკარგა პარტიამ მისი დამაარსებელი სილიბისტრო ჯიბლაძე, მისი ცენტრალურ ორგანოს რედაქტორი ლეო ნათაძე, ძველი პარტიული მოღვაწე, რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, პარმენ ჭიჭინაძე და მრავალი სხვა.

მაგრამ ვერავითარმა დევნამ ვერ შესძლო პარტიის მოსპობა ან მისი დაქვეითება. პირიქით, ის გაიზარდა, გაძლიერდა, მისი გავლენა ხალხში დღეს მეტია, ვინემ ოდესმე ყოფილა.

პარტიის ცენტრ. კომიტეტმა შესძლო მოკლე ხნის განმავლობაში მოეწყო საიდუმლო ორგანიზაციები. ახალმა პირობებმა წარმოშვა ახალი ტიპის ორგანიზაციები. დღეს არ არის არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი სოფელი, არც ერთი მივარდნილი კუთხე, სადაც სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია არ არსებობდეს. დღეს გამეფებულ პირობებში შეუძლებელია პარტიულ წევრების აღრიცხვა. მაგრამ ერთი უდაოა: პარტიის ყოველივე დადგენილება მთელ მშრომელ ხალხს სავალდებულოთ მიაჩნია; ის მას უყოყმანოთ ასრულებს. ამით აიხსნება, რომ საქართველოში არ არსებობს სტიქიური ბრძოლა, განცალკევებული მოძრაობა ან აქტები. მაგრამ თუ გადაწყდა, მაგალითათ, საპროტესტო კამპანიის გამართვა, მასში მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას.

მიმდინარე (1922) წლის თებერვალში შესდგა პარტიის საიდუმლო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მთელი საქართველოს ყველა სოც.-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. კონფერენციამ აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთი განაგრძობს საქართველოში იმპერიალისტურ პოლიტიკას, ესწრაფვის საქართველოს მებრძოლ მშრომელ ხალხის დამონავებას, კავკასიის ხალხთა ტერიტორიებზე რუსების ბატონობის დამკვიდრებას და სხვადასხვა ერთა შორის მტრობისა და შუღლის გაღვივებას.

კონფერენცია შეჩერდა აგრეთვე ინტერნაციონალის ერთობის აღდგენის საკითხზე. საქარ. სოც.-დემოკრატია აუცილებლათ სთვლის და იცავს ამ ერთობის აღდგენას ყველა სოციალისტურ პარტიების გაერთიანების საშუალებით. მაგრამ ის კატეგორიულათ უარყოფს ერთობას რუს კომუნისტურ პარტიასთან, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს პროლეტარიატის ბრძოლასა და მოძრაობასთან. პირიქით, თავისი დესპოტიური და იმპერიალისტური პოლიტიკით ის ასუსტებს და სახელს უტეხს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას და ემსახურება მსოფლიო რეაქციის გაძლიერებას. არა ერთობა ამ ავანტიურისტულ და დესპოტიურ ელემენტებთან, არამედ ბრძოლა მათ წინააღმდეგ—აი საქართველოს სოც.-დემოკრატიის გადაწყვეტილება.

შექმნილ პირობებში, როდესაც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სრულიად გაანადგურა რევოლიუციის ყველა მონაპოვარი, მოსპო პრესის თავისუფლება, დაანგრია მუშათა ორგანიზაციები და უხეში ძალის საშუალებით ლამობს გათვითცნობიერებულ

ერის დამონავებას, თავისთავათ ცხადია, სოც.-დემოკრატიულ პარტიის მთავარ მიზანს შეადგენს საქართველოში რუსეთის ოკუპაციის მოხსნა და ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის აღდგენა.

სოციალდემოკრატიული პარტია გახდა მთელი ერის გამანთავისუფლებელი ბრძოლის ბელადი. როგორც შეგნებულ მუშათა კლასის პარტია, ის მიმართავს ბრძოლის ისეთ მეთოდებს, რომელნიც აერთიანებენ მშრომელ მასებს და უვითარებენ მას ორგანიზაციის უნარს. საქართველოს ოკუპაციის პირველი ხნიდანვე, პარტიამ უკუაგდო ტერორისტული აქტები და განკერძოებული გამოსვლები და შეეცადა მთელი ხალხი აემოძრავებია. 1921 წლის ოქტომბერში მან მოაწყო მუშათა საყოველთაო გაფიცვა, რომლის ლოზუნგი იყო სამხედრო ოკუპაციის მოხსნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1922 წლის 11 თებერვალს, რუსის ჯარის ჩვენ ქვეყანაში შემოსევის წლისთავზე, ჩვენმა პარტიამ, სხვა პარტიებთან ერთათ, მოაწყო მიტინგები და სახალხო მანიფესტაციები. ამ გამოსვლებმა დააფრთხო ოკუპანტები, რეპრესიები გააძლიერეს. ამა (1922) წლის 24, 25 და 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავის გამო, ადგილი ქონდა ფართო ხალხურ მოძრაობას, რომელმაც შიშის ზარი მოგვარა ოკუპანტებს. მთელი მუშათა კლასი, მთელი გლეხობა, უნივერსიტეტის და სხვა სკოლების ახალგაზდობა, აგრეთვე ეროვნული უმცირესობანი ფეხზე დადგენ; გამოცხადებულ იქნა საყოველთაო გაფიცვა, გამართულ იქნა მიტინგები და მასიური მანიფესტაციები. წამოდგა მთელი საქართველო იმავე მოთხოვნილებით: რუსის ჯარების გაყვანა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ოკუპანტებმა კარგათ იცოდენ, რომ ქართველი ხალხი უიარაღოთ გამოვიდა და რომ მანიფესტაციებს მშვიდობიანი ხასიათი ქონდა; მაგრამ, დაინახეს რა, რომ ხალხის ტალღა მათი ბატონობის წინააღმდეგ დაიძრა, არ მოერიდენ იარაღისთვის მიემართათ: ხალხს ტყვიები, ბომბები და გრანატები დაუშინეს.

ბოლშევიკური დესპოტიზმი აღემატება ყოველივე უკიდურეს დესპოტიას, რომელიც კი არსებულა აღმოსავლეთში. მაგრამ საქართველოს მშრომელი ხალხი ქედს არ იხრის. საოკუპაციო ხელისუფლებამ გაანადგურა მუშათა პროფესიული კავშირები; სოციალდემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა მოაწყო არალეგალური პროფესიული კავშირები, რომელნიც სათავეში ჩაუდგენ პროფესიულ მოძრაობას და, მიუხედავათ გაფიცვის თავისუფლების მოსპობისა, მართვენ გაფიცვებს და განაგრძობენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ ბრძოლას აცხოველებს ის სოციალური და პოლიტიკური მონობა, რომელიც ბოლშევიზმმა დააწესა,—მონობა, რომელსაც ქართველი ხალხი ვერასოდეს ვერ აიტანს. ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფო ბურჟუაზიის აღმასრულებელი კომიტეტია, მაგრამ არცერთ ბურჟუას არ აქვს უფლება სახელმწიფო ქონებას მოექცეს, როგორც თავის საკუთრებას და ფლანგოს ის როგორც მოეპრიანება. ბოლშევიზმმა გაყო ქართველი ხალხი ორ ბანაკათ: ერთს შეადგენენ მმართველნი—კომუნისტები; მეორეს—მთელი ქართველი ხალხი. კომუნისტური პარტიის შემოსავლის წყარო სახელმწიფო ხაზინაა; მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან: ყოველი კომუნისტი ხაზინის ხარჯზე ცხოვრობს. მას მიკუთვნებული აქვს საუკეთესო ულუფა, მაშინ როდესაც დანარჩენი ხალხი, რომელსაც პროლეტარიატიც ეკუთვნის, მოკლებულია ყოველივე ულუფას და პირდაპირ დამშეულია.

ბრძოლა ქართველ ხალხსა და რუს საოკუპაციო ხელისუფლებას შორის უკიდურესი და შეურიგებელია. ბოლშევიკები—ეს უცხო არმიაა. ჩვენი არმია კი—მთელი ქართველი ხალხია. ჩვენ პარტიასა და ბოლშევიკებს შორის ხიდი ჩატეხილია. ამჟამათ წყდება ქართველი ერის და მასთან ერთათ საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბედი. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სოციალისტური ინტერნაციონალი სავსებით ჩვენ მხარეს დაიჭერს: ის გამოგვიწოდებს ჩვენ ძმობის და სოლიდარობის ხელს და მთელი თავისი გავლენით გამოექომაგება ჩვენს საქმეს.

სექტემბერი 1922 წელი.

---

## საქართველოს ანექსიისათვის.

ბოლშევიკებმა კონსტიტუციაშიაც კი შეიტანეს მუხლი ერთა თავისუფალ გამოყოფის შესახებ საბჭოთა კავშირიდან. ნამდვილათ კი თვითეული ერის ბედს სწყვეტენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უაპელაციოთ მოსკოვის ბატონები და ერს არც კი ეკითხებიან. საქართველო, რომელიც 1921 წელს იარაღით დაიპყრეს, შემდეგ წელში მოსკოვისავე ბრძანებით შეყვანილ იქნა ჯერ ამირ-კავკასიის და შემდეგ საბჭოთა კავშირში და ეს მოხდა არა თუ ხალხის, არამედ «იმ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების» სურვილის წინააღმდეგ, რომელიც თვით მოსკოვმა მოუვლინა. ისტორია ამ უსირცხვილო ანექსიის, მეტათ დამახასიათებელია კომუნისტურ მართველობაში გამეფებულ წესებისათვის: აქ მოგვყავს ზოგიერთი დოკუმენტები, რომელიც 1923 წელს იყო გამოქვეყნებული ევროპიულ პრესაში და კომუნისტებს არ უარუყვიათ.

რუსეთის კომპარტ. ცეკას მდივანმა სტალინმა შეიმუშავა და ც. კ. მიაწოდა თეზისები ეროვნებათა ავტონომიზაციის და მათი საბჭოთა კავშირში შეყვანის შესახებ. არც ადგილობრივ კომუნისტურ წრეებს და მით უმეტეს ხალხს არ შეკითხებიან. თეზისები ბრძანების სახით გაუგზავნეს ხელქვეით ორგანოებს ასასრულებლათ. ეს თეზისები მსჯელობის საგნათ გახდა საქართველოს კომპარტიის ცეკაში 15 სექტ: 1922 წ. აი ამონაწერი ამ დღის ოქმიდან:

«მოისმინეს: სტალინის თეზისები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ავტონომიზაციის შესახებ.

დაადგინეს: სტალინის პროექტით წამოყენებული წინადადება შესახებ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის ავტონომიის ნიადაგზე დროის შეუფერებლათ იქნას ცნობილი. საჭიროთ მიგვაჩნია ეკონომიურ და საერთო პოლიტიკურ პირობების გაერთიანება—დამოუკიდებლობის ატრიბუტების შენარჩუნებით.

ხმა მისცეს: ამ გადაწყვეტილების სასარგებლოთ—ც. კომიტეტის 5 წევრმა, წინააღმდეგ—1 (ელიავა); კანდიდატები: გადაწყვეტილების სასარგებლოთ—6, წინააღმდეგ—არც ერთი. სათათბირო ხმით დამსწრენი: მომხრე 19, წინააღმდეგია 6 (სახელდობრ: ორჯონიკიძე, კომაროვი, ენუქიძე, კახიანი, სოკოლნიკოვი, ლოლობერიძე). მ. ცხაკაიამ თავი შეიკავა.

ც. კ—ის სეკრეტარიატს ევალება შეეკითხოს ცენტრალურ კომიტეტის იმ წევრებს, რომლებიც სხდომას არ დასწრებიან, როგორც ამხ. ორახელაშვილი, ტოროშელიძე და სხვები და გამოარკვიოს მათი აზრი პროექტის შესახებ.

ამხ. მდივანს ევალება შეეკითხოს მოსკოვში მყოფ ამხანაგებს.

სხდომა თავს იჭერს ჯერ-ჯერობით აღნიშნულ კითხვის პარტიაში გასარჩევათ გადატანისაგან.

ხელს აწერს: ცენტრალურ კომიტეტის მდივანი საბაშვილი.»

ამგვარათ ქართველ კომუნისტების ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა გამოვიდა წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ატრიბუტების მოსპობისა და მისი რუსეთისთვის შეერთებისა ამიერკავკასიის ფედერაციის საშუალებით.

მდივანმა, როგორც დავალებული ჰქონდა, მოახსენა რუსეთის კომპარტიის ცენტ. კომ-ს პლენუმს მოსკოვში საქართველოს ცეკას აზრი. და, აი, ამის პასუხათ სტალინი საიდუმლო დეპეშით აცნობს ქართველ კომუნისტებს თფილისში რუსეთის ცეკას დადგენილებას:

«გაიგზავნა 16 ოქტომბერს, მიღებულია 17-ს 10 საათზე.

ამხანაგ ორჯონიკიძეს. გრუზცეკას წინადადება შესახებ გაერთიანების უდროობისა და დამოუკიდებლობის ატრიბუტების შენარჩუნებისა ერთხმათ უკუაგდო ცეკას (რუსეთის პარტიის) პლენარულ სხდომამ. დაინახა რა პლენუმის ერთსულოვნობა, საქართველოს ცეკას წარმომადგენელი მდივანი იძულებული გახდა უკან წაელო გრუზცეკას წინადადება. პლენარულ სხდომამ უცვლელათ მიიღო კომისიის წევრების სტალინის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვის და მოლოტოვის წინადადება შესახებ ამიერ-კავკასიის ფედერაციის დატოვებისა და მისი, რ. ს. ფ. ს. რ—ის, უკრაინის და ბელორუსიის გაერთიანება «სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში». მოყვანილია დადგენილების ტექსტი.

ამხანაგ ორჯონიკიძეს. რუსეთის კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტი ღრმათ დარწმუნებულია, რომ მისი დირექტივები გატარებული იქნენ ალფრთოვანებით. ნომერი 7643 (კონფიდენციალური).

ხელს აწერს: რუსეთის კომ. პარტიის ცენტრ. კომიტ. მდივანი სტალინი.»

როგორც სჩანს ამ დეპეშამ ვერ მოაქცია ქართველ კომუნისტების უმრავლესობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ კიდევ შესჩივლეს მოსკოვს და ეხლა კამენევის და ბუხარინის ხელმოწერით, უფრო ენერგიული ტონით დაწერილი დეპეშა მოუვიდათ:

«მოსკოვიდან, გამოგზავნილია 23 ოქტომ. 18 საათზე, მიღებულია 24 ოქტომბერს

ამხ. ცინცაძეს და მახარაძეს. კოპიო ცეკას წევრს ორჯონიკიძეს და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანს ორახელაშვილს.

თქვენი გამოსვლა ველიკორუსიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ არ უნდა გადაქცეულიყო ქართული ნაციონალიზმის დაცვათ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ პლენარულ სხდომის გადაწყვეტილება შესახებ ამიერ-კავკასიის ფედერაციის კავშირში შესვლისა სავსებით უნდა იქნას ასრულებული; მისი გადასინჯვა შეუძლია მხოლოდ ახალ პლენუმს, თუ ამ უკანასკნელმა მოისურვა. თქვენი ღია წერილის ტონი აშკარათ არღვევს პარტიის ტრადიციებს, გირჩევთ შესწყვიტოთ კინკლაობა და იმუშაოთ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილების თანახმათ. № 6028.

ხელს აწერენ: კამენევი, ბუხარინი.

ქართველ «უკლონისტებმა» აპელაცია ლენინთან გადაიტანეს, ეგონათ ის დაგვეხმარებაო. მაგრამ დახმარების მაგივრათ ბოლშევიკურმა პაპმაც შემოუყვირა.

აი ლენინის «კონფიდენციალურ» დეპეშის თარგმანი:

«გაგზავნილია მოსკოვიდან 21 ოქტომბერს, მიღებულია 22-ს 10 საათზე.

ამხანაგ ორახელაშვილს, ამერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანს.

გაშიფრული ტექსტი გადაეცეს საქარ. კომ. პარტიის ც. კ—ს, ცინცაძეს, ქავთარაძეს და რუსულ კომუნისტურ პარტიის ც. კ. წევრს, ორჯონიკიძეს.

გაკვირვებული ვარ უხეში ტონით ცინცაძის და სხვების ხელისმოწერილ დეპეშისა, რომელიც პირდაპირი მავთულით იქნა გადმოცემული და რომელიც მომივიდა, არ ვიცი რატომ, ბუხარინის და არა ცენტრალურ კომიტეტის ერთ-ერთ მდივნის საშუალებით. მე იმედი მქონდა, რომ გაუგებრობას ბოლო მოეღებოდა ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის დადგენილებით, რომელშიც მე მონაწილეობას ვიღებდით არაპირდაპირ და რომელსაც დაესწრო ამხ. მდივანი. მე გადაჭრით ვგმობ ორჯონიკიძის წინააღმდეგ ბრალდებების წამოყენებას და მოვითხოვ რომ თქვენი საჩივარი, ლოიალურათ გამოთქმული, წარუდგინოთ გადასაჭრელათ ცენტ. კომ. სეკრეტარიატს. რომელსაც ვუგზავნი აგრეთვე თქვენს განცხადებას, პირდაპირი მავთულით გადმოცემულს.»

ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი გვიჩვენებს, თუ როგორ დათავდა ეს ბოლშევიკებისთვის დამახასიათებელი განხეთქილება საქართველოს ანექსიის საკითხის გარშემო.

აი ამონაწერი საქ. კომ. პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებიდან, რომელმაც ლიკვიდაცია უყო ამ კონფლიქტს.

სხდომა 22 ოქტომბრის.

«მოისმინეს:

1. რეზოლიუცია საქართველოს კომპარტ. ცენტ. კომიტეტის გაფართოებული სხდომის 22 ოქტ.

2. ლენინის დეპეშა პასუხათ საქ. ცეკას წევრთა ერთი ჯგუფის მიმართვისა.

3. განცხადება საქ. ცენტ. კომ. წევრთა გადადგომის შესახებ.

დაადგინეს:

1. (ეს მუხლი ეხება შინაურ დავას. და ამიტომ არ მოგვყავს).

2. ლენინის დეპეშა მიღებულ იქნეს მხედველობაში.

3. ამიერ-კავკ. საოლქო კომ. გაეცნო რა საქ. ცენტრ. კომიტ. გადაწყვეტილებას მისი წევრების გადადგომის შესახებ, იღებს ამ გადადგომას.

წინადადებას აძლევს ც. კ. ახალ მდივანს ლომინაძეს დაუყონებლივ შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

წინადადებას აძლევს საქ. მუშ. კავშ. საბჭოს სეკრეტარიატს დაუყონებლივ განაახლოს თავის მუშაობა.

4. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი ადგენს კანდიდატების სიას, რომელსაც წარუდგენს რ. კომპ. ც. კ. დასამტკიცებლათ და მის თანახმათ მოახდენს ცვლილებებს საბჭოთა ადგილობრივ მთავრობის პირად შემადგენლობაში.

5. ხვალინდელ სხდომაზე დამუშავებულ იქნეს საქ. ც. კ. ახალი შემადგენლობა და მთავრობის აპარატის მიუცილებელი ცვლილებები, რომელიც წარედგინება რუსეთის კომპარ. ც. კ. დასამტკიცებლათ.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შედეგი იყო: საქ. ც. კ. გარეკა, მის წევრების, როგორც უკლონისტების, რუსეთში გადასახლება და მათ ადგილზე ანექსიონისტების დასკუპება. ამ უკანასკნელთ, გაატარეს, რასაკვირველია, ანექსია საქართველოსი ისე, როგორც მოსკოვიდან იყო ნაკარნახევი, ქართველი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ყველასთვის აშკარაა, რა ფასი აქვს და რა შინაარსი იმ «თავისუფალ» ერთა თავისუფალ შეერთებას, რომელსაც «საბჭოთა სოციალისტური კავშირი» ეწოდება.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ნ.

ბ ი უ ჯ ე ტ ი. ამიერ-კავკასიის მთავრობის 1924 წლის ანგარიშში, რომელიც დაიბეჭდა საზოგადოებრივი აზრის მოსატყუილებლათ, აღნიშნულია, თითქოს ბიუჯეტის 55 პროც. სწავლა-განათლებას ხმარდება, რაც თეთრის შავათ გასაღებას უდრის. ეს «ანდაზა» ყველა «შეგნებული» ბოლშევიკის ბაგეზე დნება, მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება. ბიუჯეტის ასავალ-დასავალი და მისი ხვრელები «სოციალისტურ» ქვეყანაში ორიოდე კაცმა თუ იცის. ამბობენ სკოლებს ბევრი სჭირდებაო. ვეთანხმებით, რომ სჭირდება, მაგრამ რომ არ ხმარდება, ეს ცხადია, რადგან სკოლების შესანახი ფული დატყვევებულია ხან უპასუხისმგებლო პირების ჯიბეში, ხან კი საიდუმლო ფონდის საკუჭნაოში. შეიძლება კი რომ ბიუჯეტი საზოგადოთ არსებობდეს ამ რეჟიმის პირობებში? არა, რადგან პარტიის ინტერესები ბატონობენ კლასისა და სახელმწიფოს ინტერესებზე, პასუხისმგებლობა ალაგმულია, თვითნებობა გამეფებულია; მუშა-მოსამსახურეების ხელფასს «ობოროტში» უშვებენ, ან მიაქვთ ორიოდე პირებს «ავანსათ». დაწესებულების თანხებს ირიგებენ და «ზარალში» ატარებენ. ბუხჰალტერია ფიქციაა, «ფინსახკომატის» ბალანსი ჩეკაში გამოყავთ. ეს ხომ ვიცითო, შეიძლება სთქვას ვინმემ. საქმეც იმაშია, რომ ფიქრობენ, თითქოს დღეს საქმე გამოსწორდა, ნამდვილათ კი ჭრილობამ პირი შეიკრა, ხოლო შიგნით ჩირქი სდგას. თვითონ აღიარებენ, რომ გასაბჭოების 5 წლის თავზე საქართველოს ხარჯთაღრიცხვა არ განმტკიცდა და განაგრძობს ტირიფის შოლტივით რხევას. არაა არც ერთი უდეფიციტო დარგი, რაც «სოციალიზმის» ავტორებს რამდენიმეთ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

ს ა ხ. ქ ო ნ ე ბ ი ს მ ო ვ ლ ა. ზოგიერთი ჩამორთმეული აგარაკები თავიანთ საზოგადო მოღვაწეებს ანუ «შრომის ორდენის» უშრომელ პატრონებს გადასცეს. ჩამორთმეული სახლები ინგრევა: დაახლოებით 20 პროც. შეკეთებას საჭიროებს, 70 პროც. კი კაპიტალურ რემონტს, ხოლო დანარჩენი თითქმის მთლად გაპარტახდა. მათში მუშები ცხოვრობენ. ბაღები გატიტვლდა. იშვიათი ჯიშების შემცველი ტყეები უსისტემოთ იჩეხება, გზატკეცილებზე ჯაგნარი ამოდის, მიმოსვლის საშუალებანი განადგურებულია. ოზურგეთის რკინისგზა ციხიდან გამოშვებულმა გლეხებმა გააკეთეს. ერთი ხიდი ქედაშიც ააგეს, მაგრამ აქ ერთი ანეგდოტია მოსაყვანი: გურულს ერთი შოთი პური მიქონდა; მეგრელმა დაინახა და უთხრა: მომეცი ეგ პური და პატარას მოგიტეხო.

გავერანდა ჩაქვის მამული, ჩაის და სხვა სუბ-ტროპიკების პროდუქცია არ სჩანს. გურიის მეურნეობა თუ კეთილმოწყობის გზაზე დგებოდა, დღეს, პირიქით, დაფნებს და ლიმონებს სჩეხავენ, რომ ზედ სიმინდი მოიყვანონ.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. საქართველოს ქონების გაზიარება სხვა მეზობელ რესპუბლიკებისათვის, მგზავრების რიცხვის დაცემა, გზის ფულისა და ფრახტის სიძვირე, დაზიანებული ორთქლმავალები, დამპალი შპალები და დეფიციტი. მთელი კავშირის მაშტაბით მოღვაწეობს ავიაციისა და სამხ. ქიმიის მეგობართა საზოგადოება. მათ გაერთიანებას წარმოადგენს «ავიოქიმი». მთავრობის მოსაგები ამ საქმიდან: საწევრო გადასახადი, კვირეულებიდან შემოსული თანხები, გადანაღლეტი (ნებსით თუ უნებლიეთ) მუშების ხელფასიდან, მოგება სურათებიდან და ქეტონებიდან. ჩაუშვეს მოტორი «საქართველოს კოოპერაცია», მაგრამ საზიდი არაფერი აქვს. ნავთსადგურები მოკვდენ; იქ მომუშავე ბერძნების ემიგრაციამ მასიური ხასიათი მიიღო. გეგმები კი დიდია: ნავთის დასატვირთი რაიონი ბათომის პორტში უნდათ შეუერთონ საკაბოტაჟო ნავთსადგურს, «მოლი» კი გააგრძელონ მდინარე ბარცხანის შესართავამდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მეურნეობა.* ბაზარი სოფლის პროდუქტებისათვის ჰერმეტიულათ დახურულია. გაშენებული ადგილების შემცირება თვალსაჩინო შეიქნა. ხალხისათვის მატყლის წასართმევათ მოღვაწეობს საზოგადოება «მწყემსი», რომლის საპატიო მეცხვარეთ არჩეულია მიხა ცხაკაია. მეფუტკრეობაში არავითარი ინსტრუქტორობა არაა. ჩარჩოიანი სკების გავრცელება ძლიერ ნელი ტემპით მიდის. ხალხი დაშინებულია: თუ ჩარჩოიანი სკა გავიჩინე, «კულაკების» რიგში ჩამწერენ და მთელი კუთხის გადასახადს შემაწერენო, ლაპარაკობენ ძველი მეურნეები. მეაბრეშუმეობას ფრთა შეეკვეცა. არაა მოგვარებული საღი თესლის მიწოდების საკითხი, ვერ ასაღებენ აბრეშუმს, კოოპერაცია კი იძენს ჩალის ფასათ. მეაბრეშუმეებს მოსკოვიდან მოტანილი უვარგისი ჩითით ისტუმრებენ და იმასაც 7-8 თვის შემდეგ. როცა აბრეშუმის მიწოდება შეწყდა, ალაპარაკდა საბჭოთა პრესა და განაცხადა, რომ ამიერიდან მდგომარეობა შეიცვლება, აქამდის მთავრობა იტოვებდა მოსაგებს, შემდეგში კი ხალხსაც გაუზიარებსო. ესეც სიყალბე გამოდგა.

*მრეწველობის პირობები.* კაპიტალის უქონლობა, მუშის ხელფასის სიმცირე, შრომის ნაყოფიერების დაცემა. ზოგიერთი ქარხნების შემჭიდროება, ე. ი. რამდენიმე არსებულის მაგივრათ ერთის დატოვება. ბევრს ლაპარაკობენ ქუთაისის მაუდის ფაბრიკაზე, მაგრამ მისი ბედი გამოურკვეველია; უნდა ვიფიქროთ, რომ სასოფლო მეურნეობის დარგების გაკოტრება შეუძლებელს გახდის ნედლი მასალის რეგულიარულ მიწოდებას, ხოლო ნაწარმოების არაჩვეულებრივი სიძვირე და უღონო ჭიდილი მოსკოვის და აგრეთვე კონტრაბანდით შემოსულ საქონელთან ფაბრიკას ზედმეტ ბარგათ გადააქცევს.

მთელი თფილისი გავსებულია რუსეთის სხვადასხვა კომერც. დაწესებულებებით და მათი ფილიალებით, რომლებიც გზავნიან პროვინციებში თავიანთ ჩარჩებს. რუსეთის დაწესებულებათა ასეთ ქველმოქმედებას და მათი ფილიალების სიმრავლეს გვიან გაუსინჯეს კბილი ჩვენმა ოქროპირებმა და კიდევაც აღნიშნეს თავის ანგარიშში მათი დამღუპველი ზეგავლენა ადგილობრივ მრეწველობაზე. შენიშნეს ისიც, რომ მათი რიცხვი უნდა შემცირდეს და თავისუფალი თარეში აილაგმოსო, მაგრამ ეს სიტყვათ დარჩა.

*კოოპერაცია.* ფასები კერძო დუქნის ფასებიდან არ განსხვავდება. კოოპერატივი პარტიის ინტერესებს ემსახურება; ის მუდამ აგებს, მაგრამ მაინც მიათრევს სულს, რადგან ხალხი იძულებულია ყოველი მოთხოვნილებისთანავე შეიტანოს ახალი საწ. გადასახადი. რატომ? იმიტომ, რომ კერძო ვაჭრობა ფაქტიურათ კანონს გარეშეა გამოცხადებული, ხოლო მთავრობის მონოპოლია უსაჭიროეს საგნებზე აიძულებს გლეხებს კოოპერატივებს აყვლეფიოს თავი. გლეხები სჩივიან უკვე არა იმას, რომ მათ საქონელს ჩალის ფასათ ყიდულობენ, არამედ, იმას, რომ ფასს არ იძლევიან, ან იძლევიან ნაწილ-ნაწილ, რამდენიმე «ობოროტში» გაშვების შემდეგ. გლეხი დაემდურა ქალაქს. «მე წავხდი, მარა შენც წაგახდენო», აი მისი სანუგეშო სიტყვა. არასოდეს და არსად კოოპერაციის მატერიალური და იდეიური კრიზისი ისე არ გამწვავებულა, როგორც დღეს. 1925 წელში საქართველოს კოოპერაცია აცდა ისტორიულ გზას, დაკარგა ყოველივე პრესტიჟი, განიწმიდა საბოლოოთ კოოპერატორებიდან და გახდა იმ იარაღათ, რომლითაც კომუნისტური მთავრობა ეკონომიურათ ასუსტებს და ამონავებს, მაშასადამე ბრძოლის უნარს უკარგავს თავის უსაშინელეს მტერს—ხალხს. ხალხმა დაკარგა ყიდვის საშუალება, ის მხოლოდ კომუნისტებმა შეინარჩუნეს. ამან დაბადა ახალი ფსიხოლოგია, ფსიხოლოგია კომუნისტ-კულაკისა, მაგრამ ამაზე ქვევით. სანამ კოოპერატივში საქონელი ეწყო, ქურდები პირდაპირ ვერ იცნობდენ ერთმანეთს, როცა საქონელმა იკლო, ქურდების ხელები ერთმანეთს შეხვდენ და ერთიმეორე დაკაწრეს. ყველაფერი ამის გამჟღავნება აკრძალულია პარტიული დისციპლინის ძალით. ალაპარაკდა საბჭოთა პრესა ღია კოლოფის გასაღებათ; დაიწყეს ძიება, თუ რატომ გახშირდა კოოპერატივების ძარცვა «პასუხისმგებლების» მიერ, მაგრამ ჯერ ვერ გამოიძიეს, რადგან ქურდს ცალი ხელი კასაში აქვს და ცალი ხელი პრესაში, თან იმდენათ დატვირთულია საზოგადო საქმეებით, რომ პასუხისსაგებათ არ სცალია; მისი ბრალი ხომ არაა!

*სწავლა-განათლება.* ტიპიური მოვლენაა: სკოლების ერთმა ინსტრუქტორმა წყრომა გამოუცხადა ერთ მასწავლებელს, რატომ ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიას ასწავლიო. უკეთესი არ იქნებოდა ალმასკომის თავმჯდომარის ბიოგრაფია გესწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიაო. არის ცოცხალი მაგალითები, როცა კომუნისტი მასწავლებლები რყვნიან ათეულ გამოუცდელ მოწაფე ქალებს და დაუსჯელი დაიარებიან. ცდას ერთგული მომავალი თაობის შექმნისას წარმოადგენს პიონერთა ორგანიზაცია დაბალ სკოლებში. მათ ზრდიან კომუნისტურ ყაიდაზე. ნორჩ ადამიანების სულს წინდაწინ ყიდულობენ, რადგან ამ ბოლო დროს ძლიერ ეშინიათ გადაშენების. პიონერების მასა უმეტესათ არაქართველი ელემენტებისაგან შესდგება, რომელთა მშობლები მედროვენია და ქართველი ერის ბედთან არავითარი კავშირი არ აქვთ...

პ რ ო ფ ე ს. მ ო ძ რ ა ო ბ ა. პროფ. კავშირი საქართველოში არ არსებობს. დაიჭირეს ვეებერთელა შენობა, «შრომის სასახლეთ» წოდებული, მუშა-მოსამსახურეები მექანიკურათ შეიტანეს სიაში, შეკრიბეს საწევრო გადასახადი (4 პროც.), გამართეს კრებები, მაგრამ პროფ. კავშირი მაინც არ გამოვიდა. რატომ?—იმიტომ, რომ პროფ. კავშირის კრებებზე ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი: ლენინიზმზე, მთავრობის მოღვაწეობაზე, ევროპისა და მენშევიკების კაციჭამიობაზე, მაგრამ პროფ. კავშირების დანიშნულებაზე და უფლებებზე კი... ნურას უკაცრავათ! პროფ. კავშირი კომპარტიის იარაღია. ის უროს ურტყამს იმ სამარცხვინო ბოძს, რომელზედაც დაბმული არიან მწვანე ხალათიანი მონები. «ვინაა წინააღმდეგის» მეთოდი დღესაც ძალაშია...

ს ა ბ ჭ ო თ ა ყ ო ფ ა - ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ფრიად საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს საბჭოთა ყოფაცხოვრება. საბჭოთა პრესა ბევრ დროს კარგავს ყოფაცხოვრების საკითხების გარკვევაზე, მაგრამ ერთს მაინც მალავენ და სახელდობრ აი რას: ბოლშევიკურ საზოგადოებაში ადგილი აქვს ფერისცვალებას. ბოლშევიზმის წიაღიდან იბადება ახალი ბურჟუაზია, უფრო გაქექილი და ულმობელი, ვიდრე ძველი. ბოლშევიზმის ახალ პირმშოს ეთიკა არ აქვს. სახალხო ფულების გამფლანგველებმა გასაოცარი გამდიდრების ნიჭი გამოიჩინეს და ბურჟუაზიული პსიხოლოგიაც მათემატიკური სისწორით შეითვისეს. ეს მაღალ წრეებში. დაბალ წრეებში წარმოიშვენ ბოლშევიკ-კულაკები, რომლებიც სახალხო ფულით აწარმოებენ ჩარჩულ-ბოლშევიკურ აღებ-მიცემობას, ასე რომ ბურჟუაზიის და ბოლშევიზმის მტრობა რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს; ჩემის აზრით მოყვრები ერთმანეთს იცნობენ და ერთად შეუტევენ საერთო მტერს, მუშათა კლასს. გაიხსენეთ აქ, რომ ბოლშევიკური მრევლი ყველა ჯურის მაწანწალების თავშესაფარ ინსტიტუტათ გადაიქცა, მათ შეიტანეს ამ მრევლში თავიანთი ეთიკა და პსიხოლოგია, მშვენივრათ ცხოვრობენ, არაფერს აკეთებენ. დღეს უკოსტიუმო კაცს კაბინეტში არ უშვებენ; თუ ბოლშევიკს მიესალმე, წელში მოიხარე, ეგებ გიპასუხოს. სრული აღვირწახსნილობა ოჯახურ დამოკიდებულებაში, პოლიგამია, ბავშვების და ოჯახის მიტოვება დედების მიერ, ჰომოსექსუალურ ვნებათა გაღვიძება, მომავლის შიში, თვითმკვლელობის სიხშირე, სიცოცხლის გრძნობის მოდუნება, გონების ლეტარგია, აზროვნების მაგივრათ თავისუფალი აზრის ჩაკვლა და წაბილწული სიტყვა «ტოვარიშჩ»—აი დღევანდელი საბჭოები. არაა მართალი, თითქოს ბოლშევიკური სახელმწიფოებრივობის ევოლიუცია ხდებოდეს. სახელმწიფოს დღეს მხოლოდ უხეში ძალა აკავებს.

საბჭოების არსებობის ხუთმა წელმა დაამტკიცა, რომ ბოლშევიზმზე დემოკრატიზმი არ დაიმყნება, როგორც არ დაიმყნება გვიმბრაზე ვარდი.

აინზიდლერი.

---

## საქართველოს სოც.-დემ. პარტია ემილ ვანდერველდეს.

25 იანვარს ემილ ვანდერველდეს 60 წელი შეუსრულდა. ამის გამო ბელგიის მუშათა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებმა გაუმართეს თავის ბელადს მხურვალე დღესასწაული, რომელსაც მთელი ევროპის სოციალისტები გამოეხმაურენ. ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა ინტერნაციონალში, ირაკლი წერეთელმა, გაუგზავნა ქართველი ხალხის დიდ მეგობარს შემდეგი დეპეშა:

«მიიღეთ მხურვალე მილოცვა საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიისაგან. ჩვენ ვდღესასწაულობთ თქვენს დაბადების დღეს და გისურვებთ სულით და გულით კიდევ დიდ ხანს სიცოცხლეს და გაგრძელებას იმ ბრძოლის და შემოქმედებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის, რაიცა თქვენ გზდისთ განსახიერებათ კაცობრიობის უკეთილშობილეს იდეალის—მუშათა კლასის განთავისუფლების და თავისუფალ ხალხთა ძმობის.

თქვენი ირაკლი წერეთელი.»

—

რ ე დ ა ქ ც ი ა დიდის აღფრთოვანებით უერთდება ამხ. ი. წერეთლის მიერ გამოთქმულ გრძნობებს და უსურვებს ინტერნაციონალის ჭაღარა ბელადს ქართულ მრავალჟამიერს. ჩვენ ვიცით. რომ მთელი ქართველი ხალხი აღტაცებით მიეგებება ამ ამბავს და თავის მწარე სინამდვილეში ვანდერველდეს მოიხსენიებს, როგორც ერთგულ მეგობარს და მას გულითადი სიყვარულით არა ერთსა და ორს სალამს მიუძღვნის. საქართველოს გამათავისუფლებელ ბრძოლის მატიანეში ემილ ვანდერველდეს საუკეთესო ალაგი უკავია. ქართველი ერი ამას არასოდეს არ დაივიწყებს.

---

## საქარ. ს.-დემ. მ. პ. მე-III კონფერენცია და ევროპის პრესა.

—

დიდი ხანია ისეთი საერთო გამოძახილი არ გამოუწვევია ევროპის პრესაში საქართველოს ამბავს, როგორიც გამოიწვია ჩვენი პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ. ეს აიხსნება ალბათ იმით, რომ ევროპაში დარწმუნებული იყვენ—აგვისტოს აჯანყების დამარცხება დიდი ხნით დაარღვევს ქართველი ერის გამანთავისუფლებელ ბრძოლას და მის სასიცოცხლო ორგანიზაციებსო. და აი უცებ პარტიის ყრილობა და მისი მებრძოლი დადგენილებები. ევროპიელთ ეს მეტათ გაუკვირდათ და მას უძღვნეს მრავალი წერილები. ჯერ ხომ მთელი სოციალისტური პრესა მოიარა ამ ამბებმა; გამოაქვეყნეს დადგენილებების შინაარსი ისეთებმაც კი, რომელნიც წინათ უკომენტარიოთ ჩვენსას არაფერს ბეჭდავდა, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისის მუშათა პარტიის გაზეთი «დეილი ჰერალდი.» (1925 წ. 16 ნოემბრის ნომერი). ხოლო ეხლა, ამავე კონფერენციას დაუბრუნდა ბურჟუაზიული პრესა, რომელიც მას რაცხს ქართველი ხალხის საბოლოო სიტყვათ.

ინგლისურ გაზეთ «ტაიმს»-ის 4 თებერვლის №-ში მოთავსებულია გრძელი წერილი ამ სათაურით: «ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა საქართველოში», მოყვანილია ვრცელი ამონაწერები რეზოლუციებიდან.

«ჟენევის გაზეთში» («ჟურნალ დე ჟენევ»), 13 თებერ. №-ში, დაბეჭდილია მოწინავე წერილი ამ გაზეთის მთავარი ხელმძღვანელის შაპიუზის ხელისმოწერით საქართველოს შესახებ. აქ სხვათა შორის ვკითხულობთ: «1924 წლის აგვისტოს ქართველი ხალხის აჯანყებამ გამოიწვია უმოწყალო რეპრესია. იმ დღიდან იფიქრებდით, რომ ქართველები დაიმარხენ სიჩუმეში, მაგრამ აი, უცებ ეს სიჩუმეც დაარღვია საქ. ს.-დ. პარტიამ თავის საყურადღებო კონფერენციით. ჩეკამ ვერ მოახერხა, რომ ამ კონფერენციის გამოძახილს არ მოეღწია ევროპამდი და მის მიერ მიღებული დადგენილებები არ გადმოფრენილიყო საზღვარზე. პარტიის უახლოესი მიზანია ის, რაც ყველა დანარჩენი საქართ. პარტიების: კონფერენცია თხოულობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას და მისი ტერიტორიის ოკუპაციის დასრულებას». შემდეგ მოყვანილია სხვადასხვა დადგენილებების შინაარსი. ავტორი ასე ასკვნის: «რუსეთს არ შეუძლია არც ზნეობრივათ და არც უფლებრივათ გახდეს წევრი ერთა ლიგის მანამ, სანამ ის არ აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას. მანამდე კითხვა არც კი უნდა დაისვას. არც არის ის ჯერ დასმული, მაგრამ დღეს საჭიროა მოქმედება არა მარტო მხურვალე, არამედ მჭრელი, რათა აღიგავოს დედამიწისაგან ეს მონობის ლაქა, წინააღმდეგი ელემენტარული სამართლიანობის ყოველგვარი პრინციპისა... საჭიროა საქმე—გარკვეული, ნათელი, საერთო ძალღონით, საჭიროა ერთი ფრონტი, რომელიც დაამტკიცებს, რომ ჩვენმა თაობამ არ უღალატა თავის მოვალეობას და არ მისცა ნება ამოეშალათ მსოფლიო რუკიდან ერთი სახელმწიფო, რომელსაც სურს იყოს თავისუფალი და მშვიდობიანი».

ჭეშმარიტათ, პარტიის უკანასკნელი ყრილბა დიდი ისტორიული მოვლენაა. აქედან იწყება ჩვენი ბრძოლის ახალი ხანა...

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპაში.

**სარეფერენდუმო კამპანია გერმანიაში.** გერმანიის დემოკრატიამ რევოლიუციის პირველ ხანებში, როცა მთელი ძალაუფლება მის ხელთ იყო, არ გადაჭრა იმპერიის მრავალ მეფეთა და პრინცთა ქონების საკითხი, რაც მას დღეს სანანებლათ გაუხდა. ყოფილ მეფეებმა და პრინცებმა უტიფარი პრეტენზიები წამოუყენეს გერმანიის ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს. უკანასკნელნი შეეცადენ სასამართლოს გზით შეეკვეცათ ფრთეები პრინცთა მოთხოვნილებისათვის. მაგრამ, საქმეც იმაშია, რომ გერმანიის რევოლიუციამ სასამართლოებიც (როგორც ადმინისტრაციის დიდი ნაწილი) თითქმის ხელუხლებელი დასტოვა; მსაჯულების დიდი უმეტესობა რეაქციონერები და მონარქისტებია. რა გასაკვირია, რომ გერმანიის მთავრობებმა ყველა პროცესები წააგეს პრინცების სასარგებლოთ. მაგ. პრუსია იძულებული გახადა სასამართლომ ჰოჰენცოლერნებისთვის 70.000 ჰექტარი მამული დაებრუნება და თან 820.000 ოქროს მანეთი სასამართლო ხარჯები გადაეხადა! მაშინ პრუსიის მთავრობამ არჩია მორიგებოდა ყოფილ კაიზერის გვარეულობას. შეთანხმების ძალით ჰოჰენცოლერნებმა უნდა მიიღონ 30 მილიონი ოქროს მარკა ფულათ და ამას გარდა უამრავი სიმდიდრე კოშკების, ბაღების, მამულების, ტყეების სახით, რომელთა ნამდვილი ღირებულება ნახევარ მილიარდ ოქროს მარკას გადააცილებს. და ეს მხოლოდ პრუსიაში. მთელ გერმანიაში კი ყოფილ მეფეების გვარეულობებმა მილიარდზე მეტი ღირებულების ქონება უნდა წაართვან გერმანიის ხალხს, რომლის დიდი ნაწილი დღეს, მათის წყალობით, უდიდეს გაჭირვებას განიცდის.

გერმანიის დემოკრატია, თავის-თავათ ცხადია, ვერ შეურიგდება ამ, შეიდემანის სიტყვით, «უდიდებულეს ძარცვას». სცადეს საკითხის რეიხსტაგში გადატანა. მაგრამ მისი რადიკალურათ გადაჭრის მომხრე აქაც მხოლოდ ორი პარტიაა; სოც.-დემოკრატია და კომუნისტები. მემარჯვენეები პრინცების მხარეს იჭერენ, ხოლო შუათანა პარტიები ცდილობენ კომპრომისის გამონახვას.

ამიტომ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა საკითხი გადაიტანოს უშუალოთ ხალხის სამსჯავროს წინაშე. ვეიმარის კონსტიტუციაში ნაგულისხმევია რეფერენდუმი, მაგრამ ისეთი რთული პროცედურა უძღვის მას წინ, რომ მისი ფაქტიურათ გატარება მხოლოდ ძლიერ პოლიტიკურ პარტიას, ან პარტიათა კოალიციას შეუძლია. უწინარეს ყოვლისა სარეფერენდუმო საკითხი, დამუშავებულ კანონ-პროექტის სახით, უნდა შეტანილ იქნას ადგილობრივ თვითმართველობებში, რის შემდეგ დაიწყება ამრჩევლების მიერ პირადათ მასზე ხელის მოწერა. თუ კანონპროექტმა უკანასკნელ სარეიხსტაგო არჩევნებში მონაწილე ამრჩეველთა ერთ მეათედის (ამ შემთხვევაში 4 მილიონი) ხელის მოწერა ვერ შეკრიბა, საქმის წარმოება შეწყდება. მას შემდეგ, რაც 4 მილიონი ამრჩეველი პირადათ მოაწერს ხელს კანონპროექტს, ის გადაეცემა განსახილველათ რეიხსტაგს და თუ აქ მიღებული არ იქნა, მოხდება ხალხის პირდაპირი დაკითხვა. რეფერენდუმში საკმარისია პროექტმა უბრალო უმრავლესობა მიიღოს, რომ კანონათ გახდეს.

ცალკე, საკუთარის ძალით, მხოლოთ სოც.-დემ. პარტიას შეუძლია ეს წინასწარი 4 მილიონი ხელის მოწერა შეაგროვოს (უკანასკნელ სარეიხსტაგო არჩევნებში მან მიიღო 7 მილიონზე მეტი ხმა, კომუნისტებმა—2,7 მილიონი), მაგრამ ისიც—აუარებელი ენერგიის და ფულის დახარჯვის და ხანგრძლივი კამპანიის შემდეგ. პარტიამ გადასწყვიტა თავის-თავზე ინიციატივის აღება. საერთო აზრით, უკეთესი საბაბი რეაქციისა და მონარქიულ იდეისთვის ბრძოლის მისაცემათ ძნელათ მოიძებნება, განსაკუთრებით ეხლა, როცა ქვეყანა მწვავე ეკონომიურ კრიზისის მიზეზით დიდ გაჭირვებას განიცდის: მხოლოდ ბერლინში უმუშევართა რიცხვი 200 ათასს უდრის, მთელ გერმანიაში კი—3 მილიონს აღწევს. სოც.-დ—იამ რომ ამ საქმეში მიზანს მიაღწიოს, ეს იქნება მონარქისტულ იდეისათვის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა, გარდა იმისა რომ ხალხის აუარებელი ქონება ხალხსვე დაუბრუნდება. ამ მოსაზრებით პარტია შეუდგა სარეფერენდუმო კამპანიისთვის მზადებას. სპეციალურ იურიდიულ კომისიამ დაიწყო საკითხის შესწავლა კანონპროექტის დასამუშავებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გამოდის სცენაზე მოსკოვის ფილიალური განყოფილება გერმანიაში, რომელიც, მიუხედავათ «ახალი» კურსისა, მთელ თავის ძალღონეს სოციალდემოკრატიის დასუსტებას ახმარს, დღევანდელ უმაგალითო უმუშევრობასაც უმთავრესათ ამ მხრით უდგება, სცდილობს დამშეული მუშები ს. დ—ის წინაალმდეგ აამხედროს და უაზრო გამოსვლებისთვის მიიმხროს. გერმანიის კომპარტიამ ვერ მოინელა ის ფაქტი, რომ ასეთ მნიშვნელოვან საბრძოლველ საკითხში, როგორიცაა «უდიდებულეს ძარცვის» წინაალმდეგ გალაშქრება, ხალხისათვის მიმართვის ინიციატივა სოციალდემოკრატიამ აიღო. გაიგეს თუ არა კომუნისტებმა ს.-დ. პარტიის გადაწყვეტილება, გამოაცხვეს სადემაგოგიო კანონპროექტი და სინჯეს სხვისი დაწყებული საქმის ხელში ჩაგდება. ამ საქციელის ზნეობრივ-პოლიტიკურ ღირებულებას რომ თავი დავანებოთ, პრაქტიკულათაც ის საქმის წახდენას მოასწავებდა, ვინაიდან: 1) კომუნისტების პროექტი იურიდიულათ სრულიათ დაუმუშავებელი იყო და მას ადვილათ მოსდებდენ ხრიკს და ჩააფლავებდენ რეიხსტაგში; 2) ორი პარტია რომ ცალ-ცალკე პროექტებით გამოსულიყვენ, კომუნისტები წინასწარ საჭირო 4 მილიონ ხელისმომწერთაც კი ვერ იშოვნიდენ, ხოლო საბოლოო არჩევნებში ხმები დაიყოფოდა და ორივე პროექტი უარყოფილი იქნებოდა; მაშინ როდესაც, თუ პარტიის ამრჩევლებმა ერთ პროექტს მისცეს ხმა, გამარჯვების მიღწევა არც ისე ძნელია. (20 მილიონ ხმაში ამ ორ პარტიას 10 მილიონი ხმა მოუვიდა უკანასკნელ სარეიხსტაგო არჩევნებში).

ასეთი იყო კომუნისტების დემაგოგიურ ნაბიჯის მნიშვნელობა. ს.-დ. პაოტიამ მიმართა გერმანიის პროლეტარიატის უძლიერეს ორგანიზაციას—პროფ. კავშირებს—წინადადებით ეკისრნა შუამდგომლობა ორ პარტიას შორის. პროფ. კავშირების ენერგიულ ჩარევის შემდეგ კომუნისტეჩმა იკადრეს უკან წაეღოთ თავიანთი კანონპროექტი. შემუშავებულ იქნა ყველა იურიდიულ პირობების სახეში მიღებით ახალი კანონპროექტი, რომელიც მოითხოვს ყოფილ მონარქთა და პრინცთა გვარეულობის მთელი ქონების უსასყიდლოთ იმპერიისა და ცალკე სახელმწიფოებისთვის გადაცემას და ომში დაზარალებულთა, ინვალიდთა, უმუშევართა და სხვ. სასარგებლოთ მოხმარებას.

კამპანია დაიწყო. წინასწარი შეთანხმებით თვითეულ პარტიას და პროფ. კავშირებს საერთო ღონისძიებით უნდა მოეწესრიგებიათ საქმის წინასწარი ტეხნიკური მხარეები. ხოლო პოლიტიკურ კამპანიას თვითეული ორგანიზაცია აწარმოებს სრულიად დამოუკიდებლივ. ამას განსაკუთრებული ენერგიით მოითხოვდენ კომუნისტები.

ამ დიდ საქმეში კომუნისტებს ეძლეოდათ შემთხვევა ეჩვენებიათ მუშათა კლასისათვის, რომ მათ შეუძლიათ გულწრფელათ საერთო საქმის წარმოება და რეაქციის წინაალმდეგ გაერთიანებულ ფრონტის შექმნა მუშათა კლასის რიგებში. მაგრამ ორი კვირაც არ გასულა კამპანიის დაწყებიდან, რომ კომუნისტურმა მორიელმა თავისი ზნე გამოიჩინა და «მოკავშირეს» კბენა დაუწყო. ს.-დემ. პარტიას ხელში ჩაუვარდა ის სახელმძღვანელო ცირკულიარი, რომლითაც კომ. პარტიის ცენტრალური დაწესებულებები მიმართავდენ ადგილობრივ ორგანიზაციებს სარეფერენდუმო კამპანიის გამო. ამ საიდუმლო ცირკულიარში აშკარათ არის ნათქვამი, რომ კომპარტიას აინტერესებს არა დაწყებულ პოლიტიკურ საქმის წარმოება, არამედ ის გარემოება, რომ ეს საქმე პირველათ აძლევს მას შემთხვევას უშუალოთ მიუახლოვდეს მუშათა მასებს და რომ მისი მთავარი მიზანია ეს მასები თავის მხარეზე გადახაროს, განსაკუთრებით—სოც.-დემოკრატიულ პარტიის რიგებში შეიჭრას და მას გამოგლიჯოს მისი მიმდევრები.

ამ მიზნითო, აძლევს კომპარტია სახელმძღვანელო დირექტივებს თავის ორგანიზაციებს, ადგილობრივ უნდა დაარსოთ საერთო სამოქმედო კომისიები, რომელშიც შევლენ კომპარტიის, ს.-დ—იის და პროფ. კავშირების წარმომადგენლები, მარა ისე, რომ-უმეტესობა და ხელმძღვანელობა კომპარტიის ხელში იქნეს. ამ საერთო კომისიების საშუალებით უნდა ჩაითრიოს კომპარტიამ თავის გავლენის ქვეშ ს.-დ. პარტიის და პროფეს. კავშირების მომხრე მუშათა მასები, რაიცა გარკვევით ნათქვამია საინსტრუქციო წერილებში, რომელნიც ასურათებენ მთელ სტრატეგიულ გეგმას ს.-დ—ის დასარღვევათ. ამ წერილს საქმეც მოყვა: კომუნისტები, წინასწარ შეთანხმების მიუხედავათ, შეუდგენ საერთო სამოქმედო კომისიების დაარსებას. მაგრამ ოინი არ გაუდისთ. ს.-დემ. პარტიამ დროზე მიიღო საჭირო ზომები, გამოაქვეყნა ზემოაღნიშნული «საიდუმლო» წერილები, გამოიტანა დღის სინათლეზე კომპარტიის ნამდვილი ზრახვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, გააფრთხილა თავისი მიმდევრები არ აყოლოდენ მოსკოველების ახალ ხრიკს, არ შესულიყვენ «საერთო სამოქმედო კომისიებში» და ასე მთელი კომუნისტური სტრატეგია ჩაშალა. მაგრამ მოსკოვის მიმდევრების მოღალატური საქციელი ხომ მაინც ასუსტებს დაწყებულ დიდ პოლიტიკურ კამპანიას, აიძულებს რა გერმანიის მუშათა დემოკრატიას თავისი ძალების და ენერგიის ნაწილი მიმართოს შინაურ ფრონტისაკენ. ისე, როგორც ყოველთვის და ყველგან, კომუნისტები აქაც უძნელეს რეაქციის, ჰოჰენცოლერნების და ძმათა მათთა საქმეს უწყობენ ხელს.

---

**ტრედუნიონები და «ინგლის-რუსული კომიტეტი».** ჩვენ მოვიყვანეთ (იხ. მე-6 №) ანგარიში ამსტერდამის სინდიკალურ ინტერნაციონალის ხელმძღვანელ კომიტეტის სხდომისა ამსტერდამში, რომლის რეზოლიუციამ კიდევ ერთხელ ჩაშალა მოსკოვის «გამაერთიანებელი» პლანები. ამავე დროს სხდომამ წამოაყენა საკითხი ამერიკულ პროფესიონალურ მოძრაობასთან დაახლოვებისა და მიიღო კიდეც სათანადო დადგენილება, რომელმაც ეს დაახლოვება უნდა გაადვილოს (მკითხველმა იცის, რომ ამერიკის მუშათა კავშირები არ შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში და უძლიერესი ამერიკელი ორგანიზაცია—შეერთებულ შტატების შრომის ასოციაცია —გაურბის ევროპის მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებას, უმთავრესათ იმ მოსაზრებით, რომ მოსკოვთან რაიმე ფორმით დაახლოებას აერიდოს).

წითელ პროფკავშირების სტრატეგებმა ამსტერდამის გადაწყვეტილებას მორიგი მანევრით უპასუხეს: მათ დეკემბერშივე მოიწვიეს ბერლინში «ინგლის-რუსულ სინდიკალური» კომიტეტი, რომელსაც დაესწრენ ამსტერდამის სესიაზე მონაწილე დელეგაცია ინგლისის ტრედუნიონებისა. აქ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გამოსთქვამს მწუხარებას ამსტერდამში მიღებულ რეზოლიუციის გამო; ამასთანავე წამოყენებულ იქნა ახალი გეგმა. კომიტეტის წევრების აზრით ეხლა ინგლისის ტრედუნიონების მთავარ საბჭოს (ცენტრალურ ორგანოს) უნდა ეკისრა ის საქმე, რომელიც ამსტერდამში უკუაგდო საერთაშორისო ორგანომ,—უნდა გაეწია შუაკაცობა რუსულ კავშირებსა და ამსტერდამის ინტერნაციონალს შორის, რათა მოწვეული ყოფილიყო ამ ორი ორგანიზაციის კონფერენცია გაერთიანების საკითხის გასარჩევათ.

უკვე ინგლისის დელეგაციის ასეთი ნაბიჯი ერთნაირი არალოიალური საქციელი იყო ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი, რაიცა აღინიშნა კიდეც ევროპის მუშათა პრესაში. მით უმეტეს შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ ტრედუნიონების ხელმძღვანელ ორგანოს ეს აზრი გაეზიარებია და ამსტერდამის დადგენილების საწინააღმდეგო ნაბიჯები გადაედგა. გენერალურმა საბჭომაც, თუმცა ის არ იზიარებს ამსტერდამის პოზიციას «გაერთიანების» საკითხში, მოისმინა რა როგორც ამსტერდამის, აგრეთვე ბერლინის სხდომების ანგარიშები, არ შეიწყნარა ინგლის-რუსული კომიტეტის აზრი და დაკმაყოფილდა სურვილის გამოთქმით, რომ საკითხი ხელახლა იქნას გარჩეული ამსტერდამის აღმასრულებელ ორგანოს მიერ.

ამნაირათ, აშკარა გახდა, რომ თვით ინგლისის ტრედუნიონებს—ერთათ-ერთი სერიოზული ორგანიზაცია დასავლეთში, რომელსაც ეყრდნობა მოსკოვი თავის «გამაერთიანებელ» ოინების გასატარებლათ,—სრულიათ არ აქვთ აზრათ მოსკოვის გულისათვის ამსტერდამის ინტერნაციონალს დაუპირდაპირდენ და მას მთლიანობის ზიანი მიაყენონ.

---

**წითელ პროფკავშირების პასუხი ამსტერდამს.** საერთაშორისო პროფეს. კავშირების ცენტრალურ კომიტეტმა მიიღო პასუხი რუს პროფ. კავშირებისაგან შესახებ «საერთო ფრონტის» საკითხისა. წითელ პროფ. კავშირების მთავარ საბჭოს მიუღებლათ მიუჩნევია ამსტერდამის ინტერნაციონალის ცენტრ. კომიტეტის გაფართოებულ სხდომის დადგენილება (დეკემბერი 1925 წ. იხ. «ბრძოლას» მეექვსე №), რომლის მიხედვით მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ რუს კავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის შესახებ. ამსტერდამის ხელმძღვანელ ორგანომ დაადგინა რუსების პასუხი მოახსენოს უახლოეს გაფართოებულ სხდომას.

ამავე დროს ამსტერდამის ცენტრ. კომიტეტმა განიხილა ინგლისელ ტრედუნიონების წერილი, რომელშიაც გამოთქმულია იმედი, რომ გამონახულ იქნება საშუალება გადაისინჯოს 1925 წ. დეკემბრის გაფართოებულ სხდომის დადგენილება რუსებთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებულების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ დეკემბერში მიღებულ გადაწყვეტილების გადასინჯვა მის კომპეტენციას აღემატება.

---

«დელეგაციების» გარშემო. გერმანელ სოციალდემოკრატმა, პროფესორ შაკსელმა, რომელმაც საბჭოთა რუსეთში იმოგზაურა, იენის ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში გააკეთა მოხსენება საბჭოთა რეჟიმის სასარგებლოთ. ორი დღის განმავლობაში სწარმოებდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გერმანელებთან ერთათ რუს სოციალდემოკრატებმაც. ბოლოს, მრავალრიცხოვან კრებამ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღიარებს, რომ გერმანიის მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ მიეცემა საშუალება გაეცნოს ნამდვილ მდგომარეობას რუსეთში, როცა ამ ქვეყნის ხელისუფლება მუშათა დელეგაციებს მიანიჭებს მისვლა-მოსვლის ისეთსავე შეუზღუდავ თავისუფლებას, როგორიც არსებობს ყველა სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით საჭიროა, რომ გერმანიის ს.-დ. პარტიის და პროფ. კავშირების დელეგაციებს მიეცეს საშუალება თავისუფლათ არჩეული თარჯიმანები წაიყვანონ თან.

«ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთს არ უნდა ექნეს პროლეტარულ სოლიდარობის იმედი მანამ, სანამ ის თავის მუშებს უკრძალავს მოაწყონ ისეთივე სოც.-დემ. პარტია და ისეთივე თავისუფალი პროფ. კავშირები, როგორიც ჩვენ გვაქვს.» დღეს კი იქ თავისუფალი პროფ. კავშირების მაგიერ არსებობს სახელმწიფო ორგანოები, ხოლო სოც.-დემ. პარტია კი იძულებულია არალეგალურათ იმოქმედოს და უამრავი მსხვერპლი გასწიოსო. «მას, მენშევიკურ პარტიას მივუძღვნით ჩვენ ჩვენს პროლეტარულ სოლიდარობას და ძმურ სალამს. მენშევიკებს ვუერთდებით ჩვენ ყოველივე ტირანიის, ყოველივე ტერორის წინააღმდეგ. გინდ მარჯვნიდან და გინდ მარცხნიდან იყოს იმ მოვლენილი»-ო.

---

პროფ. მოძრაობა ჩეხო-სლოვაკიაში. მუშათა საერთო რიცხვი ჩეხოსლოვაკიაში უდრიდა (1921 წ.) 3 მილიონ 900 ათასს. ამათგან სხვადასხვა პროფეს. ორგანიზაციებში მონაწილეობენ 1.669 ათასი, ე. ი. მუშათა საერთო რიცხვის 42,60 პროც. მაგრამ ეს თავისთავათ დიდი რიცხვი შეკავშირებულ მუშათა დაქსაქსულია სხვადასხვა ორგანიზაციათა შორის, რომელთაც ყოფს ერთიმეორესაგან როგორც ეროვნული, აგრეთვე პოლიტიკური მომენტი. ჩეხ შეგნებულ მუშათა დიდი უმრავლესობა თავს იყრის ორ სხვადასხვა ჩეხურ ორგანიზაციაში; «ჩეხოსლოვაკიის პროფ. კავშირთა კავშირს», რომელიც ენათესავება ჩეხიის სოც.-დემოკრატიას, ემხრობა 343.284 წევრი. მას მოსდევს «ჩეხოსლოვაკიის მუშათა საზოგადოება» 306.247 წევრით, რომელიც იმყოფება ჩეხიის ეროვნულ სოციალისტურ პარტიის გავლენის ქვეშ. «გერმანელი პროფეს. კავშირთა კავშირს» (გერმანელ ს.-დ—იის მომხრენი) ყავს 231.566 წევრი; მას მოყვება კომუნისტური «საერთაშორისო სრულიად პროფეს. კავშირდა კავშირი» 210.611 წევრით, ჩეხიის «ქრისტიანი სოციალისტები» 123.769 წევრით, გერმანელ მემარჯვენეთა ორგანიზაცია—48.609 და სხვ. და სხვ.

ასეთი დაყოფა ვნებს ჩეხოსლოვაკიის მუშათა მოძრაობას როგორც «საგარეო» ფრონტზე—კაპიტალთან ბრძოლაში, აგრეთვე «საშინაო» ფრონტზე—მოსკოვის მიმდევართა იერიშების მოგერიებაში.

ზევით მოყვანილი ციფრები მოწმობენ სხვათა შორის კომუნისტების ნამდვილ ძალას და გავლენას ჩეხოსლოვაკიის მუშათა მასებში. მაშინ როდესაც სოციალისტურ მოძრაობასთან (ორივე ჩეხურ სოც. პარტიების და გერმანელ ს.-დ—ების მონათესავე კავშირი) დაკავშირებულია 881.097 მუშა, კომუნისტურ პარტიას ემხრობა ყველა ეროვნების მხოლოთ 210.611 მუშა.

ამ უკანასკნელ დროს გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯი ჩეხო-სლოვაკიის ორი უდიდესი მუშათა ორგანიზაციის გასაერთიანებლათ. გასული წლის იანვარში, ამსტერდამის ინტერნაციონალის თაოსნობით, დაიწყო მოლაპარაკება ორი დიდი პროფ. ორგანიზაციის—«ჩეხო-სლოვაკიის პროფეს. კავშირთა კავშირის» (ჩეხ. ს.-დ.) და «გერმანელ პროფ. კავშირთა კავშირის» გაერთიანებაზე.

მოლაპარაკებამ ერთი წელი გასტანა. უკანასკნელათ, ამსტერდამის ინტერნაც. მდივნის, უდეგესტის, თავმჯდომარეობით მოხდა რაიხენბურგში ორივე კავშირის ხელმძღვანელთა სხდომა, რომელმაც შეთანხმების საფუძვლები შეიმუშავა. შეთანხმება გადაეცემა დასადასტურებლათ ორივე კავშირების ცენტრებს, რასაც უნდა მოყვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ცხოვრებაში გატარების წესის შემუშავება. იმედი აქვთ, რომ ამ მოკლე ხანში შეთანხმება დადასტურებულ იქნება, ხოლო აპრილის დამლევისთვის მის ცხოვრებაში გატარებას შეუდგებიან.

ამ კავშირების გაერთიანებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ იმის გამოც, რომ ის გავლენას მოახდენს აგრეთვე რესპუბლიკის ორ სოციალდემოკრატიულ პარტიების (ჩეხურ და გერმანულ) ურთიერთობაზე, რომელნიც დღეს ერთმანეთს დაშორებული არიან არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ ტაქტიკურადაც.

---

## პარტიული ცხოვრება.

პრაღის სოც.-დემ. მუშა პარტიის ორგანიზაციის რეზოლუცია: «მოისმინა რა 8 დეკემბერს მოხსენება საქართველოდან ჩამოსულ ამხ. ვლასა მგელაძისა, შესახებ საქართველოში ს.-დემ. მ. პარტიის ორგანიზაციების აღორძინებისა და მისი მუშაობის განვითარებისა აჯანყების შემდეგ,

პრაღის ს.-დ. ორგანიზაცია აღტაცებით ესალმება საქართველოში მებრძოლ ამხანაგებს და მათ მიერ აღდგენილ ცენტრალურ კომიტეტს.

ის დარწმუნებულია, რომ საქრ. ს.-დ მუშათა პარტია, რომელიც ოცდა ათი წლის განმავლობაში, ემსახურებოდა რა საკაცობრიო იდეალის განხორციელებას, ფაქტიური ხელმძღვანელი იყო ქართველი ერისა, და მეთაური საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა, მიუხედავათ იმ დანაკლისისა, რომელიც შესწირა საქართველოს განთავისუფლებას საუკეთესო წევრების სახით, თავისი დაუღალავი ბრძოლით სამუდამოთ დასცემს სხვისი მონობის უღელს და დაიმკვიდრებს სუვერენულ სახელმწიფოს, რომელიც დამყარებულ იქნება დემოკრატიულ პრინციპებზე.

პრაღის ორგანიზაცია ზიზღით იხსენიებს ყველა იმ პირთ, რომლებმაც უმუხთლეს საქარ. ს.-დ. მ. პარტიას და მიეკედლენ საქართველოს საოკუპაციო მთავრობის პარტიას.

ორგანიზაციას ღრმათ სწამს, რომ საერთაშორისო სოციალიზმის დროშით საქ. ს.-დ. მ. პარტია მიაღწევს, როგორც უახლოეს მიზანს საქართველოს განთავისუფლებას, ისე საბოლოოს—სოციალიზმის დაფუძნებას.

გაუმარჯოს საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიას!
გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას.
გაუმარჯოს სოციალიზმს».

---

## გამომცემლობა უცხოეთში.

გამოვიდა და იყიდება ქართულ ენაზე:

1) კ. კაუცკი—«ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი» . . ფასი 3 ფრ.
2) ნ. ჟორდანია—«ჩვენი ტაქტიკა» . . . . . . . . . . « 1 «
3) უწყება საქ. ს.-დ. მ. პ. მე-III არალეგალურ ყრილობისა . . « 1 «

Rédaction et Administration:
M-r. D. Charachidsé.
8. Cité Rondelet. Montrouge (Seine)
Le Gérant: G.-A. Bernard.

Imprimerie A. Lejeune. 95, Grande Rue. Arpajon (S. et. O.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს დამალეს აქაური ქარხნები და რუსეთში გაიტანეს (მარტო ლატვიიდან 30 ათასი ვაგონი მანქანები გაზიდეს), შემდეგ გერმანიის ჯარებმაც აქ დიდხანს ითარეშეს. მაგრამ გაეშალა თუ არა ფრთები ეროვნულ თვითმოქმედებას, მრეწველობა აქ წელში ადვილათ გაიმართა. საინტერესოა, რომ, მაგ., პოლონეთში დიდი წინსვლა დაეტყო ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში არა მარტო ყოფილ რუსეთის პროვინციებს, არამედ ავსტრიისასაც.

სახელდობ, პოლონეთის ქვანახშირის წარმოებაში კრაკოვის რაიონში 1913 წ. ამოღებულ ნახშირის რაოდენობა 1.870 ათას ტონას უდრიდა; 1920 წ. იგი 1.385 ათას ტონამდე დაეცა, მაგრამ 1925 წ. იგი უკვე 2 მილ. ტონას აღემატებოდა; დომბროვას რაიიონში იგივე წარმოება 1915 წ. უდრიდა 2.791 ათას ტონს, ახლა კი 6 მილ. ტონას აღემატება. ქსოვილების წარმოებაში მატყლის ნაქსოვების წარმოება 1913 წელთან შედარებით (80 ათასი მუშა) დაეცა 21 პროც. (1923 წ.—51.000 მუშა), სამაგიეროთ ბამბის წარმოება 128 პროც. გაიზარდა (1913 წ.—1.687 ათასი სართავი, 1923 წ.—2.169 ათასი). რკინის და ცინკის წარმოება უდრის 134 პროც., დაწმენდილ ნავთის—216 პროც., მარილის—153 პროც. და სხვ.

1920—21 წ. შედარებით მუშის მდგომარეობაც გამოსწორდა. 1923 წელში 1920 წ. შედარებით ჯამაგირების მომატება უდრიდა 175—220 პროც., ხოლო ცხოვრება გაძვირდა ამავე ხნის განმავლობაში ინდექსით: 1922 წ.—53,7; 1923 წ.—67,9.

მიუხედავათ, წარმოების ზრდისა პოლონეთი ძალიან შეწუხებულია უმუშევართა საკითხით. 1925 წ. თებერვალში უმუშევართა რიცხვი 178.070 უდრიდა. მაგრამ თუ ამ უმუშევრობას ჩვენებურს შეადარებთ, საშინელ განსხვავებას დაინახავთ. პოლონეთში 1925 წ. წარმოებებში ითვლებოდა სულ 1.865 ათასზე მეტი მუშა, ე. ი. აღნიშნული რიცხვი უმუშევართა შეადგენდა მომუშავეთა მხოლოდ 9 პროც. (ჩვენში კი 164 პროც.).

ლატვიაში 1920 წ. ომის წინა დროსთან შედარებით მრეწველობა სრულიად განადგურებული იყო: 1914 წ. ითვლებოდა 1265 წარმოება 93.343 მუშით; 1920 წ. 293 წარმ.—6063 მუშით; ხოლო 1925 წ. უკვე—2032 წარმ. 40.614 მუშით. უმუშევრობა ლატვიაში არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ზაფხულობით; ზამთრობით კი უმუშევართა რიცხვი ქალაქებში 1000 კაცს არ აღემატება.

ლიტვაში მხოლოდ იმ წარმოებათა რიცხვი, რომელნიც საფაბრიკო ინსპექციის აღნუსხვაში შედიან (ხოლო ასეთები საერთო რიცხვის 10 პროც. არ აღემატება) უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ასე განვითარდა:

| | | |
|---|---|---|
| 1921 წელს | 77 წარმ. | 877 მუშა. |
| 1924 « | 379 « | 4973 « |

უმუშევართა რიცხვი ლიტვაში იყო: 1921 წელს—2092 (ამათგან 526 მამაკაცი და 1566 ქალი), ხოლო 1924 წ.—1824 (ამათგან 248 მამაკაცი და 1576 ქალი).

კოოპერაცია. როგორც ვიცით, კოოპერაცია საბჭოთა მთავრობას განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენს. მართალია, ეს ზრუნვა რუსეთში და ჩვენში კოოპერაციის კომუნისტურ პარტიის არტახებში გაკვრით გამოიხატა და ჯერ-ჯერობით 10 მილიონ მანეთის გაფლანგვას არ გასცილებია («ეკონომიჩ. ჟიზნ» № 9, 1926 წ.), მაგრამ მაინც საინტერესოა ჩვენებურ კოოპერაციის დასახელებულ ქვეყნებთან შედარება.

1924 წლის დამლევს საქართველოში ითვლებოდა 147 მომხმარ. საზ. (745 დუქ.)—114.888 წევრით და 41 სასოფლო კოოპერატივი—48.820 წევრით, ე. ი. სულ 188 კოოპ. 163.568 წევრით. საქონლის ტრიალი მათ ცენტრ. კავშირებში არ აღემატება 6.224 ათას მანეთს. (იხ. კრებული «ზაკავკაზიე» და «კომუნისტი» №№ 45, 65 და 73, 1925 წლის). 1917—18 წ. კი მომხმარებელ და საკრედიტო კოოპერატორების წევრთა რიცხვი 276 ათასს აღემატებოდა და აქტივი 25.310 ათას მან. უდრიდა.

პატარა ესტონიაში (რომლის მცხოვრებთა რიცხვი 1.500 ათასს უდრის) ჯერ კიდევ 1922 წ. კოოპერატივთა რიცხვი 1500 აღემატებოდა და ისინი 300.000 წევრს აკავშირებდენ; «ცენტრ. საზოგადოების» თანხა 50 მილ. ესტ. მარკას უდრიდა და ბალანსი 1,5 მილიარდ მარკას აღემატებოდა (1 გ. სტ. უდრიდა 1.506 ესტ. მარკას).

ლიტვაში 1920 წ. ითვლებოდა 340 კოოპ., 1924 წ.—448; თითო კოოპერ. უწევდა საკუთარი თანხა 1920 წ.—3900 ლ., 1923—6500 ლ.

ლატვიაში მხოლოდ საკრედიტო კოოპერატივების ბალანსი უდრიდა: 1920 წ.—283 ათას ლატს, ხოლო 1924 წ.—12.388 ათასს ლატს.